# საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.



სამშაბათი, 16 სექტემბერი, 2014 წელი.

№187-188 (7568-7569)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## სიტყვა ერის გასაგონად

- გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ნეიტრალიტეტი გამორიცხულია;
- ისეთი მფარველი გვინდა, რომელიც მშვიდობასთან ერთად პატივისცემით მოეპყრობა ჩვენს ტრადიციებს და კულტურას, შეგვინარჩუნებს მართლმადიდებლობას;
- ჩვენი გულისთვის რუსეთს არავინ არათუ არ შეებმება, არც კი დაუპირისპირდება;
- ერთადერთი, რაც დასავლეთს (ფართო გაგებით) აინტერესებს, არის არა ვინმეს (თუნდაც სტრატეგიულ პარტნიორად წოდებულის) ეკონომიკური დახმარება და მისი პრობლემების მოგვარება, არამედ ისეთი პროვოკაციული სიტუაციების შექმნა და საომარი მოქმედებების წამოწყება, რასაც შედეგად ყოველთვის მოჰყვება რუსეთის მიმართ მტრული განწყობა მოსახლეობაში.

3–5



## „კეკლუცობის სურვილი ჩვენგანაც ბევრს აქვს“

2

### ბილდტის სევდიანი ისტორია

## როგორ კეთდება საინფორმაციო დივერსია!

7




## მარად დაუთმობელი საგანძური

4

კომისიის მიერ დამტკიცებულ ნორმას ჰქონდა და ექნება კანონის ძალა. ნებისმიერი მედიასაშუალება ვალდებული იქნება, დაიცვას ეს ნორმები.

## ილია მეორე – წარმოუდგენელია ადამიანი იყოს უწიგნებოდ. რადიო, ტელევიზია და სხვა საშუალებები საკმარისი არ არის



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ახალგაზრდებს მიმართა, სიღრმისეული ცოდნა წიგნებიდან მიიღონ. სიონის საკათედრო ტაძარში პარაკლისი გუშინ სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ახალგაზრდების დასალოცად შესრულდა.

პარაკლისი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სასულიერო პირებთან და მღვდელმთავრებთან ერთად გადაიხადა. პარაკლისის დროს ლოცვებში უფალს შესთხოვეს, რათა ახალგაზრდებს სიბრძნე და კეთილგონიერება მისცენ. პარაკლისს სემინარიისა და აკადემიის სტუდენტები, მასწავლებლები და მრევლი ესწრებოდნენ.

პატრიარქმა პარაკლისის დაწყებამდე ტაძარში შეკრებილებს ქადაგებით მიმართა და სემინარიაში სწავლის პერიოდი გაიხსენა.

„სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალური პარაკლისი სრულდებოდა და ჩვენ ყველანი ვგრძნობდით იმ მადლს, რომელსაც ვღებულობდით. მახსენდება ჩვენი ერთ-ერთი პროფესორის სიტყვები, რომ თქვენ ათი სემინარია და აკადემია რომ დაამთავროთ, არაფერი არ გამოვა, თუ ინდივიდუალურად თქვენს თავზე არ იმუშავებთო. მან გვირჩია, შეგვექმნა პირადი ბიბლიოთეკა. ჩვენ გვქონდა სტიპენდია და ეს სტიპენდია ძირითადად წიგნების ყიდვაზე მიდიოდა. პროფესორები კითხულობდნენ ლექციებს და ზოგიერთი სტუდენტი კმაყოფილი იყო ამით. იყო სტუდენტების სხვა ნაწილი, რომლებიც მუშაობდნენ ბიბლიოთეკაში – წიგნების კითხვა ეს იყო საწყისი ჩემი ასეთი წინსვლის სემინარიასა და აკადემიაში 8 წლის განმავლობაში. მე ვკითხულობდი წიგნებს და ვიყავი პირველი. მოსწრებით პირველმა დავამთავრე სასულიერო აკადემია. წარმოუდგენელია ადამიანი იყოს წიგნების გარეშე. რადიო და ტელევიზია და სხვა საშუალებები არ არის საკმარისი. სიღრმისეული ცოდნა წიგნებიდან უნდა აიღოთ. ჩვენ შევთხოვთ უფალს, გახსნას ჩვენი გონება, გული. დიდი ფიზიოლოგი პავლოვი ამბობდა, ადამიანს გააჩნია ორი გონება, მცირე და დიდი. მცირე ეს არის ჩვენი აზროვნება, გული არის დიდი გონება. ღმერთმა ინებოს, რომ გაიხსნას ჩვენი გული და გონება, მცირეც და დიდიც“, –აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

უწმინდესმა დალოცა ახალგაზრდები და მათ ღვთისაგან ძალი და სიბრძნე უსურვა. კათოლიკოს-პატრიარქმა ასევე პარაკლისის დასრულების შემდეგ აღნიშნა, რომ დღეს მათ დალოცეს ყველა მოსწავლე, უმაღლესი სასწავლებლები, სახელმწიფო უნივერსიტეტი, სასულიერო სემინარია, აკადემიის სტუდენტები.

## ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს

**ახალი სასწავლო წლის დაწყება მოსწავლეებს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ მიულოცეს.**

„მე დღეს დილით ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ვნახე ამდენი ბედნიერი ბავშვი“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, განათლება მისი მთავრობის პრიორიტეტია და ამას ისინი საქმით ამტკიცებენ.

პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ განსაკუთრებული მისია აქვთ პედაგოგებს, ვინაიდან მათი როლი ბავშვების აღზრდაში ძალიან მნიშვნელოვანია და პირობა დადო, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა პედაგოგის საქმიანობა იყოს ღირსეული და დაფასებული.



* * *

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ახალი სასწავლო წლის დაწყებას მოსწავლეებს, სტუდენტებსა და პედაგოგებს ულოცავს.**

„ძვირფასო ბავშვებო, მოსწავლეებო, სტუდენტებო, პედაგოგებო, მშობლებო, გულითადად გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

დღეიდან ათასობით ბავშვი, ახალგაზრდა და პედაგოგი განახლებული ენერგიითა და შემართებით შეუდგება ყოველდღიურ შრომას ცოდნის დაუფლებისა და გაღრმავებისათვის. იწყება ახალი გამოცდილების, ახალი მეგობრების შეძენის პროცესი.

განსაკუთრებით ვულოცავ ამ დღეს მათ, ვისთვისაც იგი მარად დაუვიწყარ გამოცდილებად იქცევა, ვინც დღეს პირველად შეაღო სკოლისა თუ უნივერსიტეტის კარი.

ჩემთვის, როგორც ყოფილი პედაგოგისა და რექტორისათვის, ეს დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ღრმად მწამს, რომ თითოეული მოქალაქის ინტელექტი და შესაძლებლობები ის ფუნდამენტია, რომელზეც ქვეყნის სიძლიერე, კეთილდღეობა და მშვიდობა შენდება. ამდენად, ცოდნის გადაცემისა და დაუფლების პროცესი არსებითია ნებისმიერი საზოგადოების განვითარებისთვის.

შემეცნების სიხარულით აღსავსე, წარმატებულ და საინტერესო სასწავლო წელს გისურვებთ“, – ნათქვამია პრეზიდენტის მისალოცში.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# „გადაცდომა არავის ეპატიება“

**გაზეთ „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ვრცელი ექსკლუზიური ინტერვიუ.**

**ვბეჭდავთ რამდენიმე ამონარიდს ამ ინტერვიუდან**

## გპირდებით, უფრო აქტიური ვიქნები



**გადაცდომა არავის ეპატიება და ძველი უბედურება არ დაბრუნდება.**

* * *

**ხელისუფლებამ ვერ უნდა გაბედოს კერძო საკუთრებაში ჩარევა, ეკონომიკის ყველა დარგში უნდა იყოს კონკურენტუნარიანი გარემო, კანონი ყველასთვის უნდა კანონობდეს, არ უნდა იყვნენ პრივილეგირებული ბიზნესმენები თუ კომპანიები, ყველასთვის უნდა იყოს თანაბარი შესაძლებლობები. ეს არის საფუძველი იმისა, რომ წამოვიდეს ინვესტიციები.**

* * *

**ყველაზე საშიში ის არის, თუ ხელისუვფლება ერევა მედიის საქმიანობაში და ძალადობს მასზე.**

* * *

**მედია არის ერთ-ერთი ძირითადი (საკვანძო) ინსტიტუტი და დამოკიდებულება მისდამი უნდა იყოს ძალიან ფაქიზი, სწორი და არა უხეში.**

* * *

**რა შუაშია მთავრობა იმასთან, რომ პრეზიდენტმა ვეტოს დადება გადაიფიქრა კანონპროექტზე, რომელიც წაკითხულიც არ ჰქონდა?! რა შუაშია მთავრობა იმასთან, რომ პროკურატურას მარგველაშვილმა გრიფი „საიდუმლო“ მთელი თვე არ მოუხსნა?! ყველა ქმედებაში განა მარტივი დასანახი არ არის, რომ ეს კონკურენციაა, რაც მარგველაშვილმა თავშივე განაცხადა, მიიჩნევს, რომ კონკურენტთან აქვს საქმე და უნდა ხელი შეუშალოს, დიახ. ეს ხელის შეშლაა საბოლოო ჯამში, ქვეყანას ეშლება ხელი და ამას უნდა მიხვდეს პრეზიდენტი მარგველაშვილი.**

* * *

**ყველაზე მეტი მე გადავიტანე, როდესაც ვუმტკიცებდი ევროპასაც და ამერიკასაც, რომ საქართველოში არ იყო დემოკრატია. აქ ჰყვაოდა ელიტარული კორუფცია, ადამიანთა უფლებები იყო ნულამდე დაყვანილი პირდაპირი მნიშვნელობით.**

# თაგვმა თხარა, თხარა... კატა გამოთხარა

**პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე პარტიიდან გარიცხეს**



**14 ოქტომბერს „ოცნების“ მთავარ ოფისში გადაწყდა, რომ პარლამენტის ვიცე-სპიკერი და ბათუმის მაჟორიტარი მურმან დუმბაძე გარიცხულია პარტიიდან. აჭარის უმაღლესი საბჭოს სამმა დეპუტატმა — ალექსანდრე ჩიტიშვილმა, მედეა ვასაძემ და ჯემალ ფუტკარაძემ კი საყვედური მიიღეს.**

დუმბაძეს, სავარაუდოდ, პარლამენტის ვიცე-სპიკერობიდანაც გაიწვევენ. იგი უკვე ღიად აცხადებს, რომ ოპოზიციაში გადადის და მინიშნებებსაც აკეთებს, რომ ყოველი ხელისუფლება, რომელიც ბოლო 25 წელიწადში მას უპირისპირდება, როგორც წესი, კრახით ამთავრებს მოღვაწეობას.

ყველაფრის მიზეზი კი აჭარის მმართველობაში დაწყებული შიდა დაპირისპირება გახდა. აჭარის უმაღლესი საბჭოს „ოცნების“ ფრაქცია ავტონომიის მთავრობაში მორიგი საკადრო ცვლილებების შემდეგ ღიად დაუპირისპირდა მთავრობის მეთაურ არჩილ ხაბაძეს და მისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის წამოწყება დაგეგმა.

მ. დუმბაძე ცდილობდა, საკუთარი გავლენის ქვეშ ჰყოლოდა აჭარის მთავრობა და აქტიურად ერეოდა საკადრო პოლიტიკაში. რამდენჯერმე გააფრთხილეს, მათ შორის, პირადად ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა — დაახლოებით ასე ჟღერს მთავარი არგუმენტები, რომლითაც პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერები პოლიტსაბჭოზე მიღებული გადაწყვეტილების მიზეზებს განმარტავენ.

**აქტუალური ინტერვიუ**

**„ნაციონალური მოძრაობა“ კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლას პროგნოზირებს, მმართველი გუნდი კი, დემოკრატიულ პროცესზე აპელირებს და ყურადღებას ხელისუფლების შიგნით არსებულ ჯანსაღ ვითარებაზე ამახვილებს.**

**თუ ვინ ჩაუშალა ამერიკაში დაგეგმილი ვიზიტი გიორგი მარგველაშვილს და რა ბედი ეწევა საკონსტიტუციო ცვლილებებს? — ამის გარკვევის მიზნით, for.ge უმრავლესობის ლიდერს დავით საგანელიძეს ესაუბრა:**

**— პრეზიდენტის განცხადებით, ინსტიტუციური ბრძოლის შედეგად, ამერიკაში მისი ვიზიტი ჩაიშალა. ქვეყნის პირველ პირს რატომ ჩაუშალა მთავრობამ ვიზიტი?**

— ხარვეზს კონსტიტუციაში ვხედავ, რომელიც წინამორბედისგან დაგვხვდა. საქართველოს კონსტიტუცია არის ნაჩიჩქნი, გადაკეთებულ-გადმოკეთებული და ერთ კაცზე - მიხეილ სააკაშვილზე მორგებული. ყოფილმა პრეზიდენტმა, რომელიც ხედავდა, რომ მას პოსტზე ყოფნის უფლება აღარ ჰქონდა, პრეზიდენტს ფუნქციები წაართვა და პრემიერს გადასცა. სააკაშვილმა ყველაფერი თავისთვის მოიმზადა. ქვეყანა ვერც საპარლამენტო რესპუბლიკა გახდა, ვერც საპრეზიდენტო და ამჟამად, არეული ფორმა მივიღეთ. სამწუხაროდ, დღევანდელ სიტუაციაში ადამიანები თავიანთ ფუნქციას დოკუმენტებში ეძებენ, რათა ვალდებულებები შეასრულონ. საზოგადოება ხედავს, თითქოს, კამათი და კინკლაობა მიდის, მაგრამ აქ საუბარია არა იმაზე, რომ პრეზიდენტს ან პრემიერს ნიუ-იორკში ჩასვლა უნდათ, არამედ ფუნქციის შესრულებაზე, რაც კონსტიტუციაში გამიჯნული არ არის. რაც შეეხება ვიზიტის ჩაშლას, ქართული ენა ისეთია, ვითარების ნებისმიერი ინტრეპრეტაცია შეგიძლია. მართალი გითხრათ, კარგია, რომ ეს ვიზიტი ჩაიშალა თუ არ შედგა, რადგან კომიკური ვითარება შეიქმნებოდა. წარმოგიდგენიათ, ოთხმილიონიანი ქვეყნიდან ამერიკაში ორი დელეგაცია ჩასულიყო? თუ ჩაიშალა, როგორც ჩანს, გარკვეული არგუმენტაციები დაიდო იმის საწინააღმდეგოდ, რომ პრეზიდენტის ვიზიტი ამ ეტაპზე არ შემდგარიყო. ვიზიტი ჩაიშალა იმის გამო, რომ პროცესი არასწორად იყო აგორებული. იმ აზრისგან შორს ვარ, რომ თითქოს პრეზიდენტის დისკრედიტაციის მიზნით, ჯგუფი მუშაობდა.

**— თუმცა, ბატონო დავით, როგორც საპარლამენტო კულუარებში აღნიშნეს, პრეზიდენტმა ვიზიტის ჩაშლის თაობაზე გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ ქართულმა მხარემ ის სტუმართა სიაში არ ჩასვა, ანუ დღის წესრიგში პრეზიდენტი სტუმრის რანგში არ იყო წარდგენილი. ამასთანავე, როგორც მარგველაშვილმა აღნიშნა, მას საგარეო უწყება არც დიპლომატიურ ფოსტას უგზავნის. აღმასრულებელი ხელისუფლება ქვეყნის პირველი პირის იგნორირებას რატომ ახდენს?**

— იგნორირებული პრეზიდენტი კი არ არის, არამედ არის საკითხები, რომელიც სხვადასხვა ინსტიტუტის იგნორირებას ახდენს. პრეზიდენტი სტუმრის რანგში რომ არ იყო, როგორც ჩანს, პრეზიდენტმა მისი ფუნქცია და როლი გაითავისა და ეს თემა მოხსნა. კარგი იქნებოდა, რომ ინფორმაცია მისთვის ადრე მიეწოდებინათ და დასკვნა ადრე გაეკეთებინა. რაც შეეხება ფოსტას, ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს, ვინც ფოსტას არ აგზავნის, უნდა დაისაჯოს კიდეც. ვფიქრობ, ეს ტექნიკური საკითხია, რადგან ამას შეგნებულად რომ ვინმე აკეთებდეს, წარმოუდგენელია.

**— როდესაც პრემიერისა და პრეზიდენტის ფუნქციის გამიჯვნაზე და კონსტიტუციაში არსებულ ჩანაწერებზე აპელირებთ, საკონსტიტუციო ცვლილებები აქამდე, რატომ არ მოამზადეთ? „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში უკვე ორი წელია არის.**

— 2012 წლის 1 ოქტომბერს რომ მოვედით, ბევრად უკეთესი იქნებოდა კონსტიტუცია, შეგვეცვალა, მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება ორგანული კანონის დამტკიცების მსგავსი არ არის. ორი წელია, ვამბობთ, რომ პარლამენტის ორი შენობა არ უნდა არსებობდეს, მაგრამ, როგორც ხედავთ, კონსტიტუციის შეცვლა იოლი არ არის. ამასთანავე, არც საკონსტიტუციო უმრავლესობა არ გვყავს. საკონსტიტუციო რეფორმის გატარება საკმაოდ რთული პროცესია და ამაში მოსახლეობა უნდა იყოს ჩართული. როგორი კარგი კონსტიტუციაც არ უნდა მიგველო, იმაში დაგვადანაშაულებდნენ, რომ კონსტიტუცია ექვს თვეში საკუთარ თავზე მოვირგეთ. უწესოდ არაფერი გავაკეთეთ. ხალხი მიეჩვია, რომ კომუნიზმის დროს პოლიტიკაში არ ერეოდა და ყველაფერი მოსკოვში წყდებოდა, შევარდნაძის დროს ქაოსი იყო, კანონს არავინ კითხულობდა და ყველაფერი ვაშას ძახილით მიდიოდა, ხოლო სააკაშვილის დროს საუბარს რა აზრი ჰქონდა, ეს კაცი ყველაფერს თავის თარგზე აწყობდა. ამ რეჟიმში აღარ ვართ და ისევ ასე გვინდა? სანამ კონსტიტუცია არ შეიცვლება, კაზუსებს უნდა შევეგუოთ.



## „კეკლუცობის სურვილი ჩვენგანაც ბევრს აქვს“

**— ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების პირველი ვარიანტი მზად 1 მარტამდე იქნება. იქიდან გამომდინარე, რომ „რესპუბლიკელები“ საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე არიან, ხოლო „თავისუფალი-დემოკრატები“ პრეზიდენტის ძლიერი ინსტიტუტისა, არ ფიქრობთ, რომ უმრავლესობას არათუ 113 ხმის შეგროვება, არამედ მხარდამჭერების პოვნა კოალიციის შიგნითაც გაუჭირდება?**

— კოალიცია ექვსი პოლიტიკური ძალისგან შედგება და ძნელია, ექვსივე პარტია ერთ ჭკუაზე იყოს. უფრო მეტს გეტყვით. როდესაც პარტიის პროგრამას ვწერდით, იქაც იყო თემები, სადაც შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ და ჩავწერეთ — ან ასე, ან ისე. კოალიციის ძალა კონსენსუსშია. უმრავლესობა კანონებს რომ ღებულობს, გგონიათ, ყოველთვის ერთიანი პოზიცია არის და ამის უკან მძაფრი მსჯელობა არ იმართება? — ხანდახან სერიოზული კამათიც მოგვსვლია. შეიძლება, კონსტიტუციაში თითოეული მუხლი საკამათო გახდეს, მაგრამ კომპრომისები იქნება და საბოლოოდ, ერთიან გადაწყვეტილებას მივიღებთ.

**— ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი კონკურენციაშია მთავრობასთან. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— დიახ, ასე ვფიქრობ, ოღონდ კარგი გაგებით. კონკურენციაში იწრთობი როგორც ბიზნესში, ასევე პოლიტიკაში. ბატონ გიორგის დიდი პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს. მან რაც კონსტიტუციაში წაიკითხა, როგორც პასუხისმგებლიანი ადამიანი, ცდილობს, რომ ეს ყველაფერი შეასრულოს. ის სწორ პოზიციებს ეძებს და ფიქრობს, რომ რიგი საკითხი თუ მისი ფუნქციაა და ამას წაუყრუებს, პასუხს საზოგადოება მას მოსთხოვს. როცა კონსტიტუცია ჩასწორდება და რგოლები გასწორდება, ასეთი რამ აღარ იქნება. თუ პრეზიდენტს რომელიმე კანონის მიმართ განსხვავებული პოზიცია აქვს, ამას დადებითად ვაფასებ.

**— თქვენი ოპონენტები აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებაში პოლიტიკური კრიზისია. კოალიციის დაშლის ნიშნებს ხედავთ?**

— მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდა. ოპონენტებს ერთი სული აქვთ, რომ მმართველი კოალიცია დაიშალოს, ურეიტინგო, ხუთპროცენტიანი პარტია გახდეს მმართველი ძალა და ხელისუფლებაში ისევ მოვიდნენ. აბა, სხვას რას იტყვიან - კოალიცია სწორი გზით მიდის, სალი აზრის გარშემო კამათობენ და არ არის დიქტატურაო? ამ ადამიანებისგან არც ველოდები, რომ რეალურ და ობიექტურ შეფასებებს გააკეთებენ. მათი მიზანია, ერთი მუჭა ამომრჩეველი არ დაკარგონ.

**— ბატონო დავით, თქვენ ისეთი სურათის დახატვას ცდილობთ, თითქოს უმრავლესობაში განსაკუთრებული არაფერი ხდება, მაგრამ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა თანაგუნდელები გააკიცხა და თქვა, რომ „ქართული ოცნება“ ხალხს იმისთვის არ აურჩევია, რომ რომელიმე მათგანი „ნაციონალურ მოძრაობას“ ეკეკლუცოს. გუნდში ვინმე ისეთი გყავთ, რომელიც უმცირესობას „ეკეკლუცება“?**

— თეა წულუკიანი იმიტომ მიყვარს, რომ ყოველთვის თამამად ამბობს იმას, რასაც ფიქრობს. მეც მაგ აზრზე ვარ, რომ საკეკლუცოდ არავინ ვართ არჩეულნი. საქმე უნდა ვაკეთოთ.

**— თქვენს გუნდში კონკრეტულად, ვინ კეკლუცობს?**

— კეკლუცობის სურვილი ჩვენგანაც ბევრს აქვს და სხვაგანაც. ზოგს კამერა უხარია, ზოგი ჟურნალისტს რომ დაინახავს, მაშინ ხდება ვითომ თამამი და მებრძოლი, ისე კი გასუსულია. ყველა თავისებურად კეკლუცობს, მაგრამ სჯობს, კეკულუცობას ყველამ თავი დაანებოს. ვინც თავის თავზე მიიღო, ეწყინა და გულზე მოხვდა, ჯობს, კარგად დაფიქრდეს და სარკეში ჩაიხედოს. ჩემს თავზე ნამდვილად არ მიმიღია.

**— რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ გეგმებს, for.ge-სთან ინტერვიუში, ნუგზარ წიკლაურმა აღნიშნა, რომ „შესაძლოა, ქვეყანაში გამოსვლები გაცილებით ადრე, 2016 წლის არჩევნებამდე დაიწყოს. ამ გამოსვლების ავანგარდში კი, „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება“. როგორ აფასებთ, ოპონენტის პროგნოზს?**

— ჩემს თავს იმ ადამიანად არ ვთვლი, რომ წიკლაურის კომენტარებზე შეფასებები ვაკეთო. მანიფესტაციების ჩატარების უფლება ყველას აქვს. პარლამენტში 50 ნაციონალია, გარეთ 500 მხარდამჭერი ჰყავთ და შეუძლიათ, წინ და უკან იარონ, ერთმანეთს დროშები უქნიონ. მათ წინ და უკან სიარულს არავინ დაუშლის. მეტი საქმე მაინც არ აქვთ.

**თეონა მანაგაძე**

# სანამ...




**ჩვენ არაფერი განსაკუთრებული არ გვინდა, გვინდა ის, რაც ყველას სურს მსოფლიოში — მშვიდობა და ნორმალური, ადამიანური ცხოვრება. თუმცა, ისევე, როგორც მცირე ერების უმეტესობას, ჩვენ თავსატეხიც გაგვაჩნია — ფიზიკური გადარჩენა და ეროვნული სახის შენარჩუნება. და კიდევ, დამატებით, თითქმის გადაუჭრელი პრობლემაც გვაქვს — წართმეული მიწების დაბრუნება.**

ცხადია, „ცარიელ მშვიდობას" რა თავში ვიხლით, ისეთი მშვიდობა გვინდა, რომელიც ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას შეუწყობს ხელს და უკეთეს ცხოვრებას მოუტანს ჩვენ შვილებს მაინც; ისეთი, რომელიც ჩვენი ისტორიისთვის უცხო და გაუგონარი მასშტაბის ემიგრაციას დაუდებს ბოლოს და დემოგრაფიულ კატასტროფას შეაჩერებს. ადრე (მე-19 და მე-20 საუკუნეებში) თუ განათლების მისაღებად მიდიოდა ქართველი კაცი რუსეთსა და ევროპაში, და საქართველოდან იღებდა დახმარებას სწავლის გასაგრძელებლად, ახლა საკუთარი თავის და ოჯახების გამოსაკვებად მიდიან უცხოეთში და საქართველოში აგზავნიან დახმარებას დატოვებული ოჯახის წევრების ფიზიკურად გადასარჩენად. გადახვეწილი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა შრომისუნარიანი ასაკის ქალ-ვაჟები არიან, რომელთა 90% სამუდამოდ დაკარგულია საქართველოსთვის. არა, ისინი კიდევ დაუბრუნდებიან მშობლიურ მხარეს (მიწას მისაბარებლად მხოლოდ!), მაგრამ მათი შთამომავლობა — თან წაყვანილი თუ იქ შეძენილი შვილები, **უცხო ნიადაგზე აღზრდილნი და განათლებამიღებულნი, იქ დაოჯახებულნი, მაღალ ხელფასებს შეჩვეულნი და, რაც მთავარია, გაუცხოებულნი(!), საქართველოს არ დაუბრუნდებიან;** იშვიათი გამონაკლისები, ხელმოცარული თუ წარმატებული ადამიანების კანტიკუნტად დაბრუნება, დიდი ვერაფერი შეღავათი იქნება გაღატაკებული და გადაშენების პირას მყოფი ქვეყნისთვის.

ვიყოთ რეალისტები და ვთქვათ — **გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ნეიტრალიტეტი გამორიცხულია.** მხოლოდ კარის მეზობლები კი არა, სხვა ნახევარსფეროში მდებარე სახელმწიფოც არ დაგვანებებს თავს. ჩვენს ნეიტრალიტეტზე კი, ეს ჩასაფრებული სახელმწიფოები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, არა მგონია, ერთმანეთში მორიგდნენ. ამიტომ მფარველი სახელმწიფო აუცილებლად გვჭირდება, მაგრამ, ბუნებრივია, **ისეთი მფარველი გვინდა, რომელიც მშვიდობასთან ერთად პატივისცემით მოეპყრობა ჩვენს ტრადიციებს და კულტურას, შეგვინარჩუნებს მართლმადიდებლობას, რომელსაც შეეძლება თავიდან აგვაცილოს ფრიად საშიში მოსალოდნელი გართულებები სამცხე—ჯავახეთში, მარნეულის რეგიონსა და აჭარაშიც (და აქ, საჭიროების შემთხვევაში, ფიზიკურადაც დაუპირისპირდეს თურქეთს) და, რაც უმნიშვნელოვანესია ჩვენი მომავლისთვის, შეეძლება, უმტკივნეულოდ, სისხლისღვრის გარეშე გადაჭრას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა.**

ერთი რამ უტყუარია: ვერც ამერიკა, ვერც ევროკავშირი, ვერც ნატო და, საერთოდ, ვერავინ ამ პრობლემას ვერ მოგვიგვარებს. ბევრჯერ თქმულა, მაგრამ ამერიკის მოიმედე პოლიტიკოსების თუ პოლიტოლოგების გასაგონად უნდა გავიმეორო: **ჩვენი გულისთვის რუსეთს არავინ არათუ არ შეებმება, არც კი დაუპირისპირდება;** ნატოს წევრ პოლონეთს ნატომ გაჭრილად უთხრა კარგა ხნის წინათ: ჩვენი იმედი ნუ გექნებათ, თქვენით უნდა დაიცვათ თავიო; ჩვენც ხომ, 2008-ში ჯერ თავი გაგვაყოფინეს შარში და მერე, „დახმარება" წყლით აღმოგვიჩინეს; და დღეს, უკრაინაც, რომელიც ჩვენი ნაცების ტყუპისცალივით მსგავსმა არალეგიტიმურმა ხუნტამ (ასევე ამერიკის მიერ დანიშნულმა!) სამოქალაქო ომში გახვია, რუსეთს გადაამტერა და ტერიტორიები დააკარგვინა, ფაქტობრივად, ხანგრძლივი ომისთვის გასწირეს ამერიკამ და ევროპამ!

**ერთადერთი, რაც დასავლეთს (ფართო გაგებით) აინტერესებს, არის არა ვინმეს (თუნდაც სტრატეგიულ პარტნიორად წოდებულის) ეკონომიკური დახმარება და მისი პრობლემების მოგვარება, არამედ ისეთი პროვოკაციული სიტუაციების შექმნა და საომარი მოქმედებების წამოწყება, რასაც შედეგად ყოველთვის მოჰყვება რუსეთის მიმართ მტრული განწყობა მოსახლეობაში.** და ამგვარი მტრობა თუ გაგრძელდა ორი თაობა მაინც, მერე ძველი, კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელიც კი გახდება. ეს კარგად მოეხსენებათ რუსეთის მტრებს, ანუ მათ, ვისაც რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრეებზე უჭირავთ თვალი და ვისაც მსოფლიოზე კონტროლი აქვს დასახული მიზნად. აი, ამისთვის ისინი არავითარ ხარჯს არ ერიდებიან, უკვე სკოლის ასაკიდან, ჯერ ჩამოუყალიბებელი ახალგაზრდებიდან არჩევენ შესაფერის კანდიდატურებს თავისთან და თავის ჭკუაზე გამოსაზრდელად, ხოლო შემდეგ უკანვე შესაბამის სახელმწიფოებში დასაბრუნებლად და მათ მიერვე უხვად დაფინანსებულ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებში დასასაქმებლად, შემდგომში სახელმწიფო სტრუქტურებში გეგმაზომიერი გამწესებით.

**ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ვინმეს მფარველობის ქვეშ ყოფნა არც ძველად ყოფილა საძრახისი და, მით უფრო, არც ახლა უნდა იყოს, როცა ამერიკა, მეორე მსოფლიო ომამდე სანიმუშო ქვეყანა დემოკრატიულობის თვალსაზრისით, მსოფლიო ჟანდარმად იქცა და ეს „საპატიო" ტიტული მეფის დროინდელ რუსეთს ჩამოართვა.** მე ვიტყოდი, ჩვენთვის აუცილებელია მფარველი! მთავარია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სწორად შევარჩიო პროტექტორი. ისეთი, ვის ხელშიც ფიზიკურადაც გადავრჩებით და არ გადავშენდებით, ეროვნულ-კულტურულ თვითმყოფადობასაც შევინარჩუნებთ და, მაშასადამე, არ გადავჯიშდებით, წინაპრების თავდადებით დღემდე მოტანილ მართლმადიდებლობაზე უარის თქმას არ გვაიძულებენ და ტერიტორიულ მთლიანობასაც აღვიდგენთ.

ყველა ამ პირობას ერთადერთი სახელმწიფო — რუსეთი აკმაყოფილებს. მას არათუ ხელეწიფება ამ, ჩვენთვის უაღრესად სასიცოცხლო მიზნების რეალობად ქცევა, არამედ საქმით აქვს დამტკიცებული ყველაფერი 200-წლოვანი ერთად ყოფნის პირობებში. ერეკლე მეფის ბრძნული გადაწყვეტილება რომ არა, და რუსეთის „კოლონიად" ყოფნა რომ არა, ჩვენი სახსენებელიც არ იქნებოდა დღეს, არათუ ის კულტურულ-მეცნიერული აღმავლობა, რასაც მივაღწიეთ რუსეთის, განსაკუთრებით, საბჭოთა რუსეთის „უღელქვეშ", არამედ, ქართული ენა, ტრადიციები და სარწმუნოება დაახლოებით ისეთივე დღეში იქნებოდა, როგორშიც დღეს არის ირანში გადასახლებულ თუ თურქეთში ოკუპირებულ ქართულ მიწებზე მცხოვრებ ქართველებში.

ცხადია, და **არავინ უარყოფს, რომ უარყოფითიც ბევრი გვახსოვს რუსეთის ხელში, მაგრამ დადებითს, რომელიც აშკარად გადაწონის უარყოფითს, რატომ ვივიწყებთ, უმადურობა ხომ სიმდაბლეა და არა სიქველე.** როდესაც რუსეთის უარყოფით მხარეებზე და რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს კოლონიად ყოფნაზე ვლაპარაკობთ, ობიექტურობა მოითხოვს ერთმანეთს შევადაროთ რუსეთის და მსოფლიოს სხვა იმპერიები, რომლებსაც კოლონიებში მართლაც რომ დამონებული ჰყავდათ ხალხები აზიაში, აფრიკასა და ამერიკაში, და ვიკითხოთ: **კულტურული, განათლებული და დემოკრატი (რუსეთთან შედარებით მაინც) დიდი ბრიტანეთის ქვეშ განვითარდა და აყვავდა ინდოეთი, საფრანგეთ-ესპანეთ-პორტუგალიის ხელში — აფრიკა-ამერიკის ხალხები, და თავისუფალი ამერიკელების ხელში — ინდიელები, თუ საქართველო რუსეთის ქვეშ?!** ამ, მართლაც კოლონიების და საქართველოს კოლონიურობის ერთმანეთთან შედარება ხომ არაფრით არ შეიძლება, იქ მილიონობით ამოწყვიტეს ხალხი, მილიონობით შიმშილისგან წყდებოდა, ჩვენ კი, პირიქით, ვმრავლდებოდით, იქ წერა-კითხვა არ იცოდა 99,9 %-მა, ჩვენთან კი კულტურულ-საგანმანათლებლო ბუმი იყო, და ცხოვრების დონით, პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, დამპყრობელ „კოლონიზატორებზე" მაღლაც კი ვიდექით. მსგავსი მაგალითების მოყვანა უამრავი შეიძლება და ვერც ერთი იმპერიული სახელმწიფო მსოფლიოში ამ კუთხით რუსეთს შენიშვნის ვერ მიცემს, ამხელა თავხედობას ვერავინ გაბედავს. თუ რუსეთი იყო ყველა ჩვენი უბედურების მიზეზი და ამერიკა კიდევ მხსნელად მოგვევლინა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მაშინ აგერ 25 წელი ხდება რუსეთიდან თავის დაღწევის და ამერიკასთან დაძმობილების, პარტნიორობის (სულ „თავისუფლები და თანასწორები" ვართ, აბა რა! უჩვენოდ ერთ ტყვიასაც არ ისვრის ამერიკა მსოფლიოში!) და **არავინ ამბობს ნაცქოცებიდან იმას, თუ რას „მივაღწიეთ" ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე, „მიღწევებზე" და მის გამომწვევ მიზეზებზე სიმართლის თქმას ყველა გაურბის.** არადა, ყველაფერი ხელის გულზე დევს: გამრავლების ნაცვლად საქართველოს მოსახლეობა ერთი მესამედით შემცირდა, ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა, უმუშევრობამ კატასტროფულად იმატა და ხალხი გარბის ქვეყნიდან, განათლება და, განსაკუთრებით, მეცნიერება დაინგრა, ქართული კინო და თეატრი შავ დღეშია, პატრიარქსა და ეკლესიაზე დაუფარავი და შეურაცხმყოფელი შეტევა მიდის, ტერიტორიის მეხუთედი კი ამერიკელი „მრჩევლების" და მათი შერჩეული „დემოკრატიის შუქურის" წყალობით დაკარგულია. ანუ, **ყველაფერი, რაც „კოლონიად" ყოფნის პერიოდში გვქონდა მიღწეული, ერთი ხელის მოსმით მოვსპეთ მტარვალი რუსეთის კლანჭებიდან თავდაღწეულებმა და მეგობარი ამერიკის კალთას თავშეფარებულებმა** (ალბათ, უფრო სწორი იქნება — თავშეყოფილებმა!). მოვსპეთ სწორედ ამერიკის მიერ მოცემული „კეთილი" რჩევების და „დემოკრატიული" რეფორმების წყალობით. ამ რეფორმების და ძია სემის ნება-სურვილის გამტარებლები რომ ჩვენი წიაღიდან შობილი შობელძაღლები, კარგად მომზადებული (ამერიკაში, ცხადია!) და ნიჭიერი ქართველი მანქურთები იყვნენ, ამას 2003 წლის ნოემბერში თუ ვერა, 2007 წლის ნოემბრიდან მოყოლებული მაინც ხომ ყველანი ვხვდებით (გონებაშეზღუდულების გარდა). ჩვენ კი ვხვდებით, მაგრამ ეს არ შველის საქმეს — **სამწუხაროდ, ნაცების მიერ ჩვენთვის თავსმოხვეულ და საქართველოს დამღუპველ საგარეო კურსს ხელისუფლება მაინც არ ცვლის.**

ზემოთ მოყვანილი ისტორიული ფაქტებიდან დასკვნის გამოტანა სულ ადვილია: **ჩვენი გადარჩენა (ფართო გაგებით) და წარსული დიდების დაბრუნება** (ხმამაღლა ნათქვამი გამომდის, მაგრამ ჩვენი დაქცეული სოფლის და გაპარტახებული ფაბრიკა-ქარხნების, და კიდევ ბევრი სხვა რამის შემხედვარეს, არც ისე ხმამაღლად უნდა მოგვეჩვენოს, თანაც, ყველაფერი ხომ შედარებითია!) **ერთადერთი სახელმწიფოს, ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობის ქვეშაა შესაძლებელი!** თუ საქართველოს მომავალზე ვფიქრობთ, და არა მხოლოდ საკუთარი ოჯახის მომავალზე, მაშინ **ისევ დიდი ერეკლეს გზას უნდა დავადგეთ, თანაც, დროზე, თორემ მერე, როცა საბოლოოდ გადავჯიშდებით, გვიანი იქნება, შეუძლებელიც!**

იხ. 5 გვ.

## ალიანჩალიანი

### მევენახეები სახელმწიფოს დახმარებას სთხოვენ

**ყვარლის რაიონში მევენახეებმა საპროტესტო აქცია გამართეს. როგორც „ინტერპრესნიუსის" ადგილობრივი კორესპონდენტი იტყობინება , სოფლების ახალსოფელის, ჭიკაანის, გავაზისა და ზინობიანის მოსახლეობამ ლაგოდეხი-ყვარელი-თელავის მთავარი მაგისტრალი გადაკეტა.**

**ადგილობრივები ჭიკაანში ღვინის ქარხნის გახსნასა და თეთრი ყურძნის ჩაბარებას ითხოვდნენ. გლეხების თქმით, ქარხნები ყურძენს არ იბარებენ, მოსავალი ფუჭდება.**

**როგორც მევენახეების ნაწილმა აღნიშნა, გვალვამ და სეტყვამ ყურძენი დააზიანა და კერძო ქარხნები არ იბარებენ. ისინი სახელმწიფოს მოსავლის დაბინავებაში დახმარებას სთხოვენ და აცხადებენ, რომ ბანკის კრედიტებს ვერ გადაიხდიან.**

**მოსახლეობას გზა ნახევარი საათის განმავლობაში ჰქონდა გადაკეტილი. გზა ყვარლის რაიონული პოლიციის მისვლის შემდეგ გაიხსნა.**

**აქციაზე მივიდნენ „რთველი 2014"-ის შტაბის წევრები და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი. მისი თქმით, სოფელ ჭიკაანის ღვინის ქარხანა სრული დატვირთვით მუშაობას დღეიდან დაიწყებს და გლეხებისგან სამიდან ოთხი ათას ტონამდე ყურძენს ჩაიბარებს.**

**ლევან დავითაშვილის განცხადებით, მოსახლეობა პროტესტის მიზეზი არ აქვს. მისივე თქმით, რქაწითელის ფასი ხარისხის მიხედვით განისაზღვრება. დაუზიანებელი ყურძენი ერთი ლარი ეღირება, ხოლო დაზიანებულ ყურძენში სახელმწიფო გლეხებს კილოგრამში 50 თეთრს გადაუხდის.**

### არც ერთი კილოგრამი ყურძენი ჩაუბარებელი და დაუბინავებელი არ დარჩება

**ამის შესახებ კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა განაცხადა. იგი გამოეხმაურა ყვარლის რაიონში მევენახეების მიერ გამართულ აქციას და აღნიშნა, რომ საკითხი ეხება ყურძენს, რომელიც სეტყვისა და გვალვის შედეგად დაზიანდა. მისივე თქმით, ხვალიდან ყვარელში სახელმწიფო ქარხანა გაიხსნება, რომელიც ამ ყურძენს ჩაიბარებს.**

**კახეთის გუბერნატორის ინფორმაციით, ამ დროისთვის რეგიონში რთველთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ არსებობს. მისივე თქმით, გლეხებს ჰქონდათ შეთავაზება, რომ ყურძენი გურჯაანში, სახელმწიფო ქარხნისთვის ჩაებარებინათ, თუმცა, ვინაიდან მევენახეების ნაწილის სარეალიზაციო ყურძენი 200-300 კგ-ს შეადგენდა, ტრანსპორტირების ხარჯი საკმაოდ მაღალი იყო, აქედან გამომდინარე, გადაწყდა, რომ ხვალიდან ქარხანა ყვარელში გაიხსნება.**



# „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს!“

**საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, სიყვარულის, ლექსის და ღმერთების ენავ...**
**ლადო ასათიანი**

**საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს განხილვა პროექტისა „საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“. კანონპროექტის შესახებ გვესაუბრება პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი — კანონპროექტის შემმუშავებელი კომისიის წევრი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.**

**— ბატონო გიორგი, ასე დავსვათ კითხვა: რა აუცილებლობა არსებობს ამ კანონის მიღებისა? რატომ კონკრეტულად ახლა?**

— მოდით დავიწყოთ საუბარი, „რატომ ახლა“. სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტის მომზადებისა და მიღების საკითხი ახლა არ დასმულა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში იმჟამინდელი დირექტორის ბესარიონ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა „ენის კანონის“ შემმუშავებელი ჯგუფი. ჩვენთან ერთად მუშაობდა ცნობილი იურისტი თედო ნინიძე. 90-იანი წლების დასაწყისში კანონპროექტის პირველი ვარიანტი მზად იყო, თუმცა, ხელისუფლება ვერ დავაინტერესეთ... 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა „ქართული ენის სახელმწიფო კომისია“; კანონპროექტი ამ კომისიას გადაეცა. განსაკუთრებით ინტენსიური მუშაობა ენის კანონზე დაიწყო მას შემდეგ, რაც შეიქმნა „ენის სახელმწიფო პალატა“. პალატის მიერ მომზადებულ ვარიანტებს განიხილავდა ქართული ენის სახელმწიფო კომისია. რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ კანონპროექტი „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდში გადაეცა პარლამენტს... ამ დროს „ვარდების რევოლუციამაც“ მოუსწრო და... ენის კანონი პარლამენტიდან გაქრა...

**— ყველამ ვიცით, რომ წინა ხელისუფლება წინააღმდეგი იყო „სახელმწიფო ენის კანონის “ მიღებისა, თქვენ იბრძოდით, მაგრამ...**

— დიახ, ასე იყო. მიუხედავად არაერთგზის საჯაროდ შეხსენებისა, ეს უპირველესი ეროვნული საკითხი მიივიწყეს. არც მიკვირს: წინა ხელისუფლება მტრად მოეკიდა ქართულ ენას... გავიხსენოთ: მათი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გაუქმდა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, დაიხურა ენის პალატა, გაუქმდა პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი, დაიხურა ყველა რადიო და ტელეგადაცემა, რომელიც ენის სიწმინდეს შეეხებოდა. სერიოზული პრობლემები შეექმნა ქართულ ენას საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში; განუკითხაობაა ქალაქში, საქართველოს გზებზე ქართული წარწერები არსად დომინანტობს... ამ ფონზე გიკვირთ, რომ სახელმწიფო ენის კანონი არ მიიღეს?

**— და თქვენ ფიქრობთ, რომ, თუ მივიღებთ „სახელმწიფო ენის კანონს“, ყოველივე ეს მოწესრიგდება?**

— დარწმუნებული ვარ, კი. სხვა რომ არა იყოს, კანონშივეა ჩადებული „სახელმწიფო ენის დეპარტამენტის“ ჩამოყალიბება და „სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისიის“ შექმნა...

**— იქნებ განვმარტოთ, რა ფუნქციები ექნება თითოეულ მათგანს, როგორ მოემსახურებიან ისინი სახელმწიფო ენას.**

—როგორც მოგახსენეთ, კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნას; ეს იქნება საჯარო სამსახური; მას ექნება თავისი დებულება, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს მთავრობა, ეყოლება რამდენიმე ათეული თანამშრომელი; დეპარტამენტის ხელმძღვანელს დანიშნავს პრემიერ-მინისტრი...

**— ფუნქციები?**

— დეპარტამენტი განახორციელებს სახელმწიფო ენის დაცვის კონტროლს წინამდებარე კანონის შესაბამისად, ან სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ ფარგლებში... დეპარტამენტი უზრუნველყოფს ქვეყანაში ერთიანი ენობრივი პოლიტიკის განხორციელებას ქართული ენის მიმართ; შეიმუშავებს და გამოსცემს სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარებისთვის საკანონმდებლო აქტებს... მიმართავს ქმედით ღონისძიებებს ენობრივ სფეროში არსებული დარღვევების შესახებ და სხვა...

**— როგორც ჩანს, კანონპროექტი საჯარიმო სანქციებსაც ითვალისწინებს. ენის ნორმების დამრღვევს რა ჯარიმა ელოდება?**

—ვიღაც რომ საუბარში შეცდომას დაუშვებს, ანდა ჟურნალისტი რომ კარგად ვერ გამართავს ფრაზას, ცხადია, ასეთ შემთხვევაში ჯარიმები არ არის გათვალისწინებილი... მაგრამ ისევე როგორც ნებისმიერი სხვა კანონის დარღვევა ითვალისწინებს შესაბამის პასუხისმგებლობას, „სახელმწიფო ენის კანონის“ დარღვევაც უნდა ითვალისწინებდეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას... სახელმწიფო ენას თავისი ფუნქციონირების ფართო სფერო აქვს; ნებისმიერ სფეროში სახელმწიფო ენის უფლების დარღვევა დანაშაულია ამ ენის (და სახელმწიფოს) მიმართ... ნორმალურ ქვეყანაში ნებისმიერი ასეთი დანაშაული უნდა ისჯებოდეს...

**— გამოდის, ჟურნალისტების მიერ ატეხილი განგაში, ელემენტარული ენობრივი შეცდომისთვის დაგსჯიანო, არ შეესაბამება სიმართლეს.**

— ნუ შევხედავთ საქმეს ასე მარტივად. ამ თემაზე ცოტა ვრცლად ვისაუბროთ. ზემოთ ვთქვით, კანონპროექტი ითვალისწინებს, შეიქმნას **„სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი კომისია“**. კომისიას პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს. ფაქტობრივად, ეს იქნება სამართალმემკვიდრე იმ „თანამედროვე ქართული ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიისა“, რომელიც გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან არსებობდა საქართველოში (მისი თავმჯდომარე იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე); ამ კომისიას 90-იან წლებში პრეზიდენტთან არსებული ქართული ენის სახელმწიფო კომისია ჩაენაცვლა. კომისიის მიერ დამტკიცებულ ნორმას ჰქონდა და ექნება კანონის ძალა. ნებისმიერი მედიასაშუალება ვალდებული იქნება, დაიცვას ეს ნორმები. ნორმების დაცვა ევალება ნებისმიერ გამოცემას, ოფიციალურ დოკუმენტს და ა.შ. ნორმების დარღვევისთვის უფლებამოსილი ორგანო, პირი ვალდებული იქნება, დამრღვევს სათანადო პასუხი მოსთხოვოს. კონკრეტულად რა, ეს დადგინდება და გაირკვევა...




მე ვიცი ასეთი მაგალითები: სხვა ქვეყნებში, სადაც საკმაოდ მკაცრი კანონებია ენის შესახებ, კანონის დარღვევისთვის სოლიდური ჯარიმებია; მედიასაშუალება შეიძლება აკრძალონ, სატელევიზიო და რადიომაუწყებლობა შეიძლება გააჩერონ... ჩვენთან რა იქნება და როგორ, ეს გაირკვევა და დაზუსტდება... დღეს რომ საკმაო განუკითხაობაა ამ მხრივ, ფაქტია... ეს ასე აღარ უნდა გაგრძელდეს!..

**—კანონპროექტში არის ასეთი პუნქტი: „საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, ფლობდეს სახელმწიფო ენას“. ე. ი. ვინც არ იცის ქართული ენა, მას სამსახური ეკრძალება?**

— ეს ეხება საჯარო სამსახურს. კერძო ფირმებსა და ორგანიზაციებში არავინ ავალდებულებს რომელიმე კონკრეტული ენის ცოდნას... თქვენ ვერ მომიყვანთ ვერც ერთ მაგალითს ნორმალური ქვეყნისას, რომ საჯარო სამსახურის მსურველ მოქალაქეს სახელმწიფო ენის ცოდნა არ ევალებოდეს... ასე უნდა იყოს ჩვენთანაც... საკმაოდ მკაცრი კანონი აქვთ ენისა ბალტიისპირეთში, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში (სომხეთში, აზერბაიჯანში)...

ზემოთ კითხვა დასვით, რამდენად აუცილებელია ამგვარი კანონის არსებობაო. არის ქვეყნები, სადაც ენის კანონი არა აქვთ, მაგრამ ენობრივი ტრადიციები, საზოგადოების შეგნება სხვაგვარია. მაგალითად ინგლისში; გახმაურებული შემთხვევა იყო: პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს ლამის იმპიჩმენტი მოუწყვეს, რომელიღაც სიტყვას არასწორად წერო... ჩვენთან ის ვერ შევძელით, ყველაზე მაღალი შენობისთვის ქართული წარწერა დაგვებრუნებინა... საერთოდ, მახინჯი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის „წყალობით“ ენაშიც ბევრი მავნე ტრადიცია დამკვიდრდა; როგორც ჩანს, საგანგებო კანონმდებლობის გარეშე ის არ მოწესრიგდება...

**— არაქართულენოვან მოსახლეობას რაიმე პრობლემას ხომ არ შეუქმნის ეს კანონი?**

— გავითვალისწინოთ: საქართველოში არის ორი ჯგუფის ენები: სახელმწიფო ენები (ქართული და აფხაზეთში აფხაზური) და არასახელმწიფო ენები. ეს კანონი აწესრიგებს მხოლოდ სახელმწიფო ენის ვითარებას; მოგეხსენებათ, მას თავისი სფერო აქვს. არასახელმწიფო ენების შესახებ მომდევნო ეტაპზე უნდა შეიქმნას საკანონმდებლო აქტები... ისე ესეც ვთქვათ: სახელმწიფომ უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები და ხელი შეუწყოს არაქართულენოვან მოსახლეობას სახელმწიფო ენის შესწავლაში; საგანგებო პროგრამების შექმნასაც ითვალისწინებს ეს პროგრამა.

**— ასე რომ, კანონის მიღების შემდეგ ხელისუფლებას, საზოგადოებას ძალიან ბევრი საზრუნავი გაუჩნდება...**

—ცხადია, ჩამოსაყალიბებელია მშობლიური ენის გაძლიერება-აღორძინებისთვის გამიზნული სამსახურები და წესრიგში მოსაყვანი; დებულებები შესაქმნელია და მისაღები... არ უნდა დარჩეს კანონი კანონისთვის... უამრავი წვრილმანი თუ მსხვილმანი პრობლემა იქნება გადასაწყვეტი... იმედია, მოვერევით ამ პრობლემებს...

**— აუცილებლად მოერევით, რადგანაც ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ერთმნიშვნელოვნად გიჭერთ მხარს...**

**სპარტაკ ქობულია**

**იქნება კი?**

## ზურაბ ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაცია ამ დრომდე არ ჩატარებულა

**ამის შესახებ ჟვანიას საქმეზე დაკავებული სამედიცნო ექსპერტის, ლევან ჩაჩუას ადვოკატმა ზურაბ ტაბიძემ განაცხადა. ადვოკატის თქმით, ექსჰუმაციის შესახებ დადგენილება დაცვის მხარეს არ მისვლია, რაც ნიშნავს, რომ პროცედურა არ ჩატარებულა. ამასთან, ადვოკატი აცხადებს, რომ გარდა ძველი მასალებისა, მას მაისის შემდეგ, პროკურატურის მხრიდან არანაირი მტკიცებულებები არ მიუღია.**

**რაც შეეხება წინასასამართლო სხდომას, ადვოკატის თქმით, ექსპერტ ჩაჩუას პროცესი მაისში უნდა გამართულიყო, რამდენჯერმე გადადების შემდეგ კი, 22 სექტემბრისთვის არის ჩანიშნული. „ძველის გარდა, პროკურატურას არანაირი მტკიცებულება ამ ხნის განმავლობაში არ გადმოუცია. თუ კიდევ არ გააგრძელეს საგამოძიებო ვადა, მათ კიდევ 2 დღე აქვთ ამისთვის და ველოდები ან დღეს ან ხვალ, ინფორმაციას“, — განაცხადა ზურაბ ტაბიძემ.**

**ადვოკატი აპირებს, რომ წინასასამართლო სხდომაზე დააყენოს შუამდგომლობა ლევან ჩაჩუას საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ. ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებული გამოძიების ფარგლებში, ბრალდებულია სამი პირი — ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი მიხეილ ძაძამია, დაცვის უფროსი კობა ხარშილაძე და ექსპერტი ლევან ჩაჩუა. სამივე მათგანი პატიმრობაშია. ახალი ხელისუფლების პირობებში, ჟვანიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით, დაწყებული გამოძიების ფარგლებში, პროკურატურაში განაცხადეს, რომ არ არის გამორიცხული, ზურაბ ჟვანიას ცხედარს ექსჰუმაცია ჩაუტარდეს.**

# სანამ...

(მესამე გვერდიდან) ეს, ასე ვთქვათ, მაინც ზოგადად თქმული. კონკრეტულად კი:

**სანამ განვითარებადი ქვეყნების სიაში დავრჩებით** და დასავლეთის მიერ გაწერილი გვექნება, თუ რისი უფლება გვაქვს და რისი — არა (როგორი განათლების, რომელი დარგის სპეციალისტების მომზადების და ეკონომიკის რა სფეროების განვითარების),

სანამ მხოლოდ ამერიკაზე, როგორც ჩვენს მხსნელზე, ვიქნებით მიჩერებულნი,

**სანამ არასაპარლამენტო ოპოზიცია ამერიკაში ივლის სისტემატურად, ვითომ მხოლოდ ინფორმაციის მისაწოდებლად,** (თითქოს, იქ ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიდდნენ და არ იცოდნენ ჩვენთან რა ხდებოდა გუშინ ან, რაც ხდება დღეს; აბუ გრეიბის და გუანტანამოს ციხეების შემქმნელებს და „ვოთერბორდინგ“-ის — წყლით წამების დამკანონებლებს, ჩვენი ციხეების კადრებით გავაკვირვებთ თუ გულს ავუჩუყებთ?!),

სანამ პირი ურწმუნო, უეროვნებო, დედ-მამის და ბუნებით განსაზღვრული სქესის უარმყოფელი სახელმწიფოებისკენ გვექნება მიქცეული,

**სანამ ხელისუფლება „ნატოს“ იმედზე გვამყოფებს** , როგორც ჩვენი უსაფრთხოების გარანტზე და ტერიტორიული პრობლემების მომგვარებელზე,

**სანამ სოროსის ფონდში, ენ-დი-აიში, თავისუფლების ინსტიტუტსა და სხვა მსგავს, ამერიკიდან (დასავლეთიდან) დაფინანსებულ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებში დაფრთიანებული ხალხი იქნება ხელისუფლებაში და ოპოზიციაშიც** (ამომრჩევლის თვალის ასახვევად და ერთიმეორის ჩასანაცვლებლად!), ძალოვან უწყებებში, პრესა-ტელევიზიაში, ექსპერტებად და მრჩევლებადაც,

**სანამ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებაზე და საქმიანობაზე კონტროლი არ დაწესდება,**

**სანამ არაპატრიოტი და ამერიკის შერჩეული ხალხი დაინიშნება სახელმწიფოს მმართველებად** (მინისტრებად, მოსამართლეებად და სხვ.),

**სანამ რუსეთის საწინააღმდეგო განცხადებებს არ შევეშვებით,**

**სანამ პროკურატურა, სასამართლო, პოლიცია და ჯარი ნაცებისგან არ გაიწმინდება,**

**სანამ ნაცმოძრაობა არ გასამართლდება, დამნაშავე ნაცები არ დაისჯებიან და მათი ქონების კონფისკაცია არ მოხდება,**

**სანამ ქართულ კულტურას, ისტორიულ ძეგლებს, დედაბუნებას დედინაცვალივით მოეპყრობა და ანტიეროვნულ, ანტიქრისტიანულ კანონებს მიიღებს ხელისუფლება,**

**სანამ განათლება ფასიანი იქნება,**

**სანამ ხელისუფლება თვალს დახუჭავს რუსეთის პრეზიდენტის გაუგონარ საჯარო შეურაცხყოფაზე** და არავითარ ზომებს არ მიიღებს ყოვლად გაუგონარი პლაკატების (FUCK PUTIN, ПУТИН ХУЙЛО და სხვ.) ხელში დამჭერთა და გამხმოვანებელთა მიმართ (რაც ჩვენი თავის მოჭრაა, საქართველოს სირცხვილია და არა — სიტყვის თავისუფლების გამოხატულება),

სანამ მართლმადიდებელი ეკლესიის და პატრიარქის შეურაცხმყოფლებს პასუხს არ მოსთხოვს ხელისუფლება,

**სანამ უცხოეთში წასულ (და იქ დაბადებულ) ყველა ქართველს საქართველოს მოქალაქეობა არ შეუნარჩუნდება (არ მიენიჭება)** ისრაელში დამკვიდრებული წესის ანალოგიურად,

**სანამ რეალური საარსებო მინიმუმი არ დადგინდება საერთაშორისო ნორმების შესაბამისად და პენსია მას არ გაუტოლდება,**

სანამ მინიმალური ხელფასი არ დაკანონდება და საჯარო სამსახურებში მინიმალურ და მაქსიმალურ ხელფასებს შორის (პრემია—დანამატების ჩათვლით!) დასაშვები მაქსიმალური სხვაობა არ განისაზღვრება,

სანამ დეპუტატების გამოწვევის წესი არ გამარტივდება,

სანამ სამხედრო—პოლიტიკურ თუ სავაჭრო ბლოკებსა და კავშირებში (ნატოსა და ევროკავშირში) გაწევრების საკითხი ხალხის ნების და ქვეყნის ინტერესების, და მოსალოდნელი საფრთხეების გაუთვალისწინებლად გადაწყდება,

სანამ ცხრამთას იქით სხვის ომებში მონაწილეობას საქართველოს დაცვად გაასაღებს ხელისუფლება,

**სანამ ქართველი მეცნიერების აზრს არაფრად ჩააგდებს და ყველა სამინისტრო-უწყებაში „ეკონომიკურ მკვლელებად“ წოდებულ დასავლელ მრჩეველებს იყოლიებს ხელისუფლება,** და მათი რეკომენდაციებით გაყიდის მიწას, წყალს, წიაღისეულს, სტრატეგიულ ობიექტებს, და კატასტროფული შედეგების მომტან (ხალხისთვის და ბუნებისთვის) გიგანტურ ჰესებსაც ააშენებს,

**სანამ ერთი პატიოსანი, გამოცდილი, გამბედავი, დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული და სამშობლოსთვის თავგადადებული თავით ფეხთამდე ქართველი კაცი, ანუ დიდი სახელმწიფო რეჟისორი არ გამოჩნდება სამ მილიონ ქართველში, და არ მოვა ქვეყნის სათავეში** (არჩევნებით ან, თუნდაც, ძალით), რომელიც ყველას თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს დამსახურებისამებრ,

**მანამ, არსებითად, არაფერი არ შეიცვლება** — რამდენიმე პროცენტი ძველებურად უზრუნველად იცხოვრებს, ცოტა მეტი, ასე თუ ისე, ნორმალურად იარსებებს, დანარჩენს კი (დაახლ. 80 %-ს) ყოველდღიურ ლუკმაპურზე მოუწევს ფიქრი და მათხოვრობა; კიდევ უფრო დაიცლება საქართველო ქართველებისგან და გაივსება გადამთიელებისგან, ისევ დაკარგული გვექნება ტერიტორიები და ისევ გაგრძელდება ერთმანეთისკენ თითის გაშვერა, ყველაფრის ერთმანეთზე და რუსეთზე გადაბრალება!

კიდევ ბევრი „სანამ“-ის ჩამოთვლა შეიძლებოდა, მაგრამ რადიკალური დადებითი ძვრებისთვის ჩამოთვლილის გამოსწორებაც იკმარებს, რასაც ხელისუფლების ცვლით თუ მივაღწევთ მხოლოდ. ხელისუფლება კი უნდა ვცვალოთ მანამ, სანამ ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ხალხის უმრავლესობას არ მივიღებთ სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ პარლამენტში. „ვაცალოთ, ვაცალოთ“, უნდა დამთავრდეს. ერთი წელი საკმარისი დროა იმისთვის, რომ ნათელი გახდეს — ამართლებს ახალი ხელისუფლება ხალხის ნდობას, თუ — ვერა. და თუ ვერა, ვადამდელი არჩევნებიც უნდა დაინიშნოს. **ხალხის განწყობის ობიექტურად გამოვლენის საუკეთესო გზა კი რეფერენდუმია, და არა პრემიერის ან პრეზიდენტის პირადი მოსაზრება ვადამდელ აჩევნებთან დაკავშირებით გამოთქმული.**

**იაკობ ლეჟავა,**
10 სექტემბერი, 2014

## ბიზნესი

# „ქართუ ბანკის“ გაყიდვის გეგმა ჩაიშალა

**ბიზნესწრეებში „ქართუ ბანკის“ გაყიდვის შესახებ ინფორმაცია მიმდინარე წლის აპრილიდან ვრცელდებოდა. თავდაპირველად ითქვა, რომ ბანკი ქართველმა ებრაელმა შოთა შალელაშვილმა და გია მიქელაძემ იყიდეს, თუმცა, მოგვიანებით ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. ცოტა ხნის წინათ კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ქართუ ბანკის“ გაყიდვის მიზნით დაწყებული მოლაპარაკებები ჩაიშალა, რადგან „ქართუს“ შეძენის მსურველმა უცხოურმა ჯგუფმა აქციების შეძენაზე უარი თქვა.**

სააქციო საზოგადოება „როსიისკი კრედიტი-ქართუ“ 1996 წელს დაფუძნდა. 1998 წელს კი მას „ბანკი ქართუ“ დაარქვეს. „ქართუს“ გაყიდვის საკითხი აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც თანაინვესტირების ფონდში განაცხადეს, რომ „ქართუმ“, როგორც საინვესტიციო ბანკმა, აქტუალობა დაკარგა.

ბანკის გაყიდვის მცდელობა რომ წარუმატებლად დასრულდა, ჩვენთან საუბრისას „ქართუს“ ფინანსურმა დირექტორმა ნატო ხაინდრავამაც დაადასტურა.




**ნატო ხაინდრავა:** „ყველაფერს დეტალურად ვერ გეტყვით, რადგან ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა. ჩვენ სპეციალური მემორანდუმი გავაფორმეთ, როდესაც „ქართუს ბანკის“ გაყიდვის თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ „ქართუს“ შეძენის სურვილი ებრაულმა ფინანსურმა ჯგუფმა გამოთქვა. მოლაპარაკებები დაახლოებით სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მათ ჩვენი ფინანსური მდგომარეობაც მოეწონათ და სხვა მონაცემებიც. მიუხედავად ამისა, მყიდველსა და გამყიდველს შორის საბოლოო შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა და ბანკის გაყიდვის გეგმაც ამის გამო ჩაიშალა. აქვე უნდა ვთქვა, რომ კომერციული ბანკის გაყიდვაში უჩვეულო და განსაკუთრებული არაფერია: თავის დროზე გაიყიდა ბანკი „რესპუბლიკა“, „ბაზისბანკი“, „სტანდარტბანკი“ და ა.შ... ეს ჩვეულებრივი ფინანსური ოპერაციაა, რომელიც მთელ მსოფლიოშია მიღებული. ჩვენდა სასიხარულოდ, ქართული საბანკო სისტემა ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება მსოფლიო დინამიკას, ჩამორჩენილები ნამდვილად არა ვართ და ბანკის ყიდვა-გაყიდვაც, ვფიქრობ, არავის უკვირს.

**— „ქართუს“ გაყიდვის მცდელობა ფინანსურ პრობლემებთან არ იყო დაკავშირებული?**

— არა, რა თქმა უნდა... ჩვენი ბანკი ფინანსურად საკმაოდ ძლიერია, აქედან გამომდინარე, მას სოლიდური ღირებულება აქვს. თუ ოფიციალურ მონაცემებს გადახედავთ, დაინახავთ, რომ „ქართუ ბანკი“ მუდმივ ჭარბ ლიკვიდობაშია. რომელ ფინანსურ პრობლემაზეა ლაპარაკი? — ეს გამორიცხულია!

**— ცნობილია, რომ „ქართუ ბანკის“ მთავარი მფლობელი ბიძინა ივანიშვილის ვაჟი უტა ივანიშვილია. ისიც თანახმა იყო, რომ „ქართუ“ გაეყიდათ?**

— ბიძინა ივანიშვილის ვაჟი უტა ამ ბანკის ბენეფიციარი მფლობელია და მას „ქართუში“ ასპროცენტიანი წილი აქვს, ხოლო დამფუძნებელი „ქართუ ჯგუფია“. რასაკვირველია, მფლობელი თანახმა იყო, რომ „ქართუ ბანკი“ გაყიდულიყო, მაგრამ მყიდველთან შეთანხმება ვერ მოხერხდა და უკვე გადაწყდა, რომ ბანკი აღარ იყიდება. რაღაც პერიოდში მოლოდინის რეჟიმში ვმუშაობდით, ახლა კი — ჩვეულებრივად ვაგრძელებთ საქმიანობას. სხვათა შორის, კლიენტურასაც არ ვუჩივით, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად კორპორატიულ სეგმენტს ვემსახურებით, ანაბრებს რიგითი მოქალაქეებისგანაც ვიღებთ და ჩვენს მომხმარებლებს ყველა ტიპის საბანკო პროდუქტს ვთავაზობთ. რა მოხდებოდა, „ქართუ ბანკი“ რომ გაყიდულიყო? — მართალია, ჩვენი ბანკის წილი იყიდებოდა, მაგრამ კლიენტურა დარჩებოდა, თუმცა, ვისაც სხვა ბანკში გადასვლის სურვილი ექნებოდა, სხვისი მომსახურებით ისარგებლებდა, ასე რომ, ჩვენს კლიენტებს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა.

**— როგორ შეიძლება შეფასდეს „ქართუ ბანკის“ მდგომარეობა დღეს და სამომავლოდ თუ გაქვთ გაფართოების გეგმები?**

— „ქართუ“ არ არის დიდი ბანკი, ბევრი ფილიალიც არა გვაქვს, თუმცა, ფინანსური თვალსაზრისით საკმაოდ მყარად ვდგავართ ფეხზე — კაპიტალის ადეკვატურობით ეს საქართველოში ერთ-ერთი ძლიერი ბანკია. ზოგიერთი პარამეტრის მიხედვით შვიდეულში ვართ, ხოლო ზოგიერთით — ექვსეულში... რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, რა თქმა უნდა, განვითარებისა და გაფართოების გეგმები ჩვენც გვაქვს — ძირითადად, ფილიალების ქსელის გაფართოებას ვგულისხმობ. ჩვენი გეგმები მხოლოდ დიდი ქალაქებით არ შემოიფარგლება, გამორიცხული არ არის, რომ მომავალში „ქართუს“ ახალი ფილიალები საქართველოს რეგიონებშიც გაიხსნას.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

## ალიანჩალიანი

# დღეიდან ურეცეპტოდ კიდევ 781 მედიკამენტი გაიცემა

**როგორც სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს რეგულირების სააგენტოს ფარმაცევტული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დავით მაჭარაშვილმა განუცხადა, ამ მედიკამენტების ექიმის დანიშნულების გარეშე გამოყენება ნაკლებად საფრთხის შემცველია.**

**„გასულ კვირას ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაკეთდა განცხადება ფარმაცევტული პროდუქტის რეკლასიფიკაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, მეორე ჯგუფიდან მესამე ჯგუფში 700-ზე მეტი დასახელების ფარმაცევტული პროდუქტის გადანაცვლებასთან დაკავშირებით. დღეს მოეწერა ბრძანებას ხელი და, შესაბამისად, ურეცეპტოდ გასაყიდ მედიკამენტთა სიას 781 დასახელების მედიკამენტი დაემატა. ამ ფარმაცევტულ პროდუქტებს მიეკუთვნება ისეთი სამკურნალო საშუალებები, როგორიც არის ანალგინის, ბარალგინის საინიექციო ფორმები, ნოშპის საინექციო ფორმა, არასტერილური ანთების სამკურნალო საშუალებების საინიექციო ფორმები, გარეგანი ადგილობრივი გამოყენების სამკურნალო საშუალებები, თვალისა და გულის წვეთები და ისეთი სამკურნალო საშუალებები, რომლის სარგებლისა და რისკის შედარების შედეგად სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაზრდილიყო მომხმარებლის ხელმისაწვდომობა სამკურნალო საშუალებებზე“, — განაცხადა მაჭარაშვილმა.**

**მისივე თქმით, იმ მედიკამენტებს შორის, რომელი მედიკამენტებიც მეორე და მესამე ჯგუფში გადავიდა, არის კეტონალი, ვოლტარენი, დიკლოფენაკი, ნოვალისი, პაპავერინი, დიბაზოლი, ნოშპა, ეუფილინი, სულფოკამფოკაინი, ბეტასერკი (ტაბლეტები), ვიტამინები (ამპულები), ვიაგრა, ნოვოკაინი, ლიდოკაინი, ჰეპტრალი, სინტომიცინი, ჰიდროკორტიზონი, ლორინდენი A და C, პრედნიზოლონი, ზოვირაქსი, ანალგინი (ამპულები) და რინგერი.**

**ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, მეორე ჯგუფში არსებული ფარმაცევტული პროდუქტის რაოდენობამ, რომელიც რეცეპტით გაიცემა შეადგინა 5 307 დასახელება, ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქტების რაოდენობა კი 4 234-ია.**

ეკონომიკა



# ტურისტების ნაკადი გაიზარდა, მაგრამ...

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკას ეფუძნება, პირველი 8 თვის მანძილზე საქართველოში შემოსული უცხოელების რაოდენობა 3 პროცენტით გაიზარდა. ეს იმ ტემპის საგრძნობი ვარდნაა, რაც წინა წლებში შეინიშნებოდა. გასული წლის ზაფხულში ტურისტების რაოდენობის ზრდა 25 პროცენტს შეადგენდა.**

აგვისტოს თვის მონაცემების ჩათვლით, ტურისტული ნაკადის მხოლოდ 3 პროცენტით მატება ნაკლებად შთამბეჭდავად გამოიყურება, წინა წლის ანალოგიური პერიოდის 25-პროცენტიან მაჩვენებელთან შედარებით — მით უმეტეს, რომ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბიუჯეტი, წინა წელთან შედარებით, 2-ჯერ გაიზარდა, ხოლო სარეკლამო კამპანიისთვის გამოყოფილი თანხის მოცულობა გასამმაგდა. ამას წინ უძღოდა გიორგი სიგუას ახალი სტრატეგია. ის ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას 2013 წლის გაზაფხულიდან 2014 წლის 4 აგვისტომდე ხელმძღვანელობდა. ახალი სტრატეგიის არსი გიორგი სიგუამ გასულ წელს თანამდებობაზე დანიშვნიდან რამდენიმე თვეში გამოაცხადა:

**„მე მირჩევნია, რომ დავხარჯო ფული იმ მიზნობრივ ბაზრებზე, საიდანაც არის პირდაპირი ავიარეისები, საიდანაც არის უვიზო რეჟიმი, საიდანაც არ არის ენობრივი ბარიერი. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო „სიენ-ენ“-ზე საქართველოს გარეკლამების, თუმცა ვთვლი, რომ იმ თანხად, რაც ეს ღირს, გაცილებით მეტი შედეგის მიღწევა შეიძლება უკრაინაში, პოლონეთში“.**

ამ განცხადებით გიორგი სიგუამ თავისი მთავრობის წინამორბედის საქმიანობა გააკრიტიკა. არადა, სწორედ წინამორბედთა ძალისხმევის შედეგად მიიჩნევა ტურისტული ნაკადის საგრძნობი ზრდა 2013 წლის განმავლობაში. მაშინ ასეთი მოსაზრება მაია სიდამონიძემ გამოთქვა, რომელიც ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩამოაშორეს:

**„დღევანდელი ხელმძღვანელობა, — მათი არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს, — იმედია, არ ფიქრობს, რომ ეს არის მათი დამსახურება, იმიტომ რომ 3 თვეში არანაირ მარკეტინგულ სტრატეგიას და ახალ სტრატეგიას შედეგი არ მოაქვს. მათი სტრატეგია შედეგს გამოიღებს ორ-სამ წელიწადში, რასაც ყველა დავინახავთ“.**

ამ განცხადებიდან ერთი წელი გავიდა და ახალი სტრატეგიის შედეგი უკვე თვალსაჩინო ხდება.

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის აგვისტოს თვის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა რაოდენობა, წინა თვესთან შედარებით, მინუს 0,5 პროცენტს შეადგენს. არადა, წინა წლებში აგვისტოს თვე ტურისტული ნაკადის პიკს წარმოადგენდა ხოლმე. მაგალითად, 2012 წელს ზრდა თითქმის 70 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2013 წლის აგვისტოში ზრდა თითქმის 30 პროცენტი იყო.**

ვიზიტორების რაოდენობა შემცირდა იმ ქვეყნებიდან, საიდანაც საქართველოს ყველაზე მეტი ადამიანი სტუმრობს. მაგალითად, თურქეთიდან შემოსულთა რაოდენობის კლება მინუს 5 პროცენტზე მეტს შეადგენს. მინუს 12 პროცენტით არის შემცირებული ტურისტული ნაკადი სომხეთიდან და მინუს შვიდი პროცენტით — რუსეთიდან. არადა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი სიგუა ოთხიოდე თვის წინათ ოპტიმისტურად იყო განწყობილი:

**„ჩვენ გვაქვს გეგმა და სტრატეგია ამ ტურისტების ნაწილის... საუბარია გაორმაგებაზე ტურისტების რაოდენობისა უკრაინიდან. შარშან გვყავდა 125 ათასი ტურისტი და ამ რაოდენობის გაორმაგება გვინდა წლევანდელი ზაფხულის ხარჯზე“.**

საქართველოს მთავრობამ გიორგი სიგუას ამ მიზნის მისაღწევად უკრაინაში სარეკლამო კამპანიის დაფინანსებასთან ერთად უკრაინული ავიაკომპანიის სუბსიდირებაც კი განახორციელა, მაგრამ უკრაინიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა მხოლოდ 23 პროცენტით გაიზარდა. საქმეს ვერც გიორგი სიგუას მიერ ინიცირებულმა ფესტივალ „კაზანტიპის“ უკრაინიდან — ყირიმიდან — საქართველოში, კერძოდ კი, ანაკლიაში გადმოტანამ უშველა. სიგუა ვარაუდობდა, რომ „კაზანტიპი“ ანაკლიაში 40 ათასამდე ტურისტს მოიზიდავდა, რეალურად კი ფესტივალს, საერთო ჯამში, 12 ათასამდე ადამიანი ესტუმრა.

**„კაზანტიპთან“ დაკავშირებულ მოლოდინებს მის დაწყებამდე სამიოდე თვით ადრე პესიმისტურად აფასებდა ტურიზმის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი მაია სიდამონიძე:**

**„რა თქმა უნდა „ფესტივალის გამართვის შესაძლებლობა არის, თუმცა, სერიოზული კვლევა არის ჩასატარებელი, ტურისტების რა სეგმენტი დადის ამ ფესტივალზე და რა მოთხოვნები გააჩნიათ მათ, დააკმაყოფილებს თუ არა საქართველოს ზღვისპირა ზოლი ამ მოთხოვნებს“.**

**„კაზანტიპის“ ფესტივალის მსვლელობამ აჩვენა, რომ, მიუხედავად წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოებისა, რომელშიც ორგანიზატორებმა მილიონობით ინვესტიცია განახორციელეს, ინფრასტრუქტურამ თავი ვერ გაართვა გამოწვევას. 10 დღის მანძილზე გასართობად ჩამოსული ტურისტების გარკვეულმა ნაწილმა პირველი ორი დღის შემდეგ დატოვა საქართველო სიძვირისა და სხვა სირთულეების გამო. ამას მართლმადიდებელი ეკლესიის ფესტივალის საწინააღმდეგო პოზიცია და პროტესტიც დაემატა. სულ ბოლოს კი მთავრობის პოზიციაც გახდა ცხადი. ჯერ იყო და, „კაზანტიპის“ დაწყებამდე ორიოდე კვირით ადრე გიორგი სიგუა ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ხოლო ფესტივალის დასრულების შემდეგ ეკონომიკისა და მდგრადი გავითარების მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა გამოაცხადა, რომ“ „კაზანტიპი“ არის ძალიან მდარე ხარისხის ფესტივალი“. კვირიკაშვილმა ასევე დასძინა, „ჩვეულებრივი ამბავია, რომ ამ ბიზნესმა საქართველოში ვერ გაამართლაო“.**

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად ითვლება, რადგან ის მოსახლეობის ფართო ფენების დასაქმებისა და შემოსავლის კარგ წყაროს წარმოადგენს. ტურიზმი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით იმდენივე მოცულობას შეადგენს, რამდენსაც სოფლის მეურნეობა. ამ უკანასკნელის ხელშეწყობისთვის კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასობით მილიონი ლარი იხარჯება.

**კახა მჭედლიძე,**
**რადიო „თავისუფლება“**

ვისწავლოთ მოთხოვნებისა და პრეტენზიების ცივილიზებულად გამოხატვა

# საით მივდივართ?

**ჩვ. წ. მე-2 საუკუნის 20-იან წლებში რომის იმპერატორმა ადრიანემ აჯანყებული იუდეველები ჯერ დაამარცხა, შემდეგ კი საკუთარი ქვეყნიდან გააძევა. მან იერუსალიმი დაანგრია, მის შესასვლელთან კი ღორის ქანდაკება დადგა, რათა უკან მობრუნებულ ებრაელებს ქალაქში შესვლის ხალისი დაკარგვოდათ.**

ცხადია, ეს ბარბაროსობა იყო, მაგრამ მაშინ საუკუნეც შესაბამისი იდგა. დღეს 21-ე საუკუნეა. შეუძლია ვინმეს დღევანდელ მსოფლიოში იმ საზიზღრობის ანალოგი დაასახელოს, რაც ქართველმა ვაიმართლმადიდებლებმა ქობულეთში ჩაიდინეს? თუ ასეთ მაგალითს ვინმე გაიხსენებს, ეს ნამუსს მაინც ვერ მოგვწმენდს. ეს მხოლოდ იმის დასტური იქნება, რომ ამ ქვეყნად ჩვენნაირი ფუნდამენტალისტი და არაშემწყნარებელი სხვა ხალხიც არსებობს. ქობულეთის ფაქტი არა მხოლოდ და არა იმდენად მუსლიმთა რელიგიური გრძნობების შეგინებაა, პირველ რიგში ის ჩვენი მართლმადიდებლობის ჰუმანური ბუნების, ჩვენი ტოლერანტული წარსულის, ჩვენი ღირსეული წინაპრების, ჩვენი ევროატლანტიკური არჩევანის შეურაცხყოფაა. საკუთარი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი და მორწმუნე მეგობრებს უნდა უმრავლებდეს თავის სარწმუნოებასაც და ერსაც, ამ ბარბაროსობით კი მისმა ავტორებმა მხოლოდ მტერი მოუმრავლეს ერთსაც და მეორესაც. მართლმადიდებლები საქართველოში ვართ უმრავლესობა, თორემ პლანეტაზე ისლამის მიმდევრები გაცილებით მეტნი არიან და ვინ იცის, მსოფლიოს ქვეყნებში მოგზაურობისას, რამდენ ქართველს დახვდება წინ ქობულეთელი ორთოდოქსების საქციელი.

დროა, ნათლად გავერკვეთ — საით მივდივართ: თუ დასავლეთისკენ, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ განსხვავებული აზრის, განსხვავებული რელიგიის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება ამ მიმართულებით წინსვლის თანამდევი ატრიბუტებია. უპლურალიზმოდ დასავლური კურსი არ არსებობს. თუ ქვეყნის ირანიზაციისკენ მივისწრაფვით, მაშინ ჯერ კონსტიტუციიდან რწმენის თავისუფლების მუხლი უნდა ამოვიღოთ, მერე კი ჩვენს მრავალეთნიკურ და მრავალკონფესიურ სახელმწიფოში გარდაუვალი ეთნიკური და რელიგიური ომებისთვის მოვემზადოთ. დასავლეთი კი სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ, რადგან ასეთ ქვეყანასთან ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურები არ ითანამშრომლებენ.

აი, ასეთია ალტერნატივა, საიდანაც არჩევანის გაკეთება არც ისე ძნელი უნდა იყოს. ამიტომაც, თუ ცივილიზებულობის სულ ოდნავი პრეტენზია მაინც გვაქვს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია გადაჭრით უნდა გაემიჯნოს ქობულეთის ინციდენტს, ქართულმა სახელმწიფომ კი ყველაფერი უნდა გააკეთოს დამნაშავეთა ოპერატიულად გამოსავლენად და კანონის მთელი სიმკაცრით დასასჯელად.

აქვე აუცილებლად და სრულიად ნათლად უნდა აღვნიშნო: ზემონათქვამი სულაც არ ნიშნავს, რომ ქობულეთის ინციდენტის მონაწილეების პოზიცია თავიდან ბოლომდე პრინციპულად მცდარი და მიუღებელია. კატეგორიულად მიუღებელი ამ პოზიციის გამოხატვის ფორმაა. სხვა რელიგიისადმი უპატივცემლობა, პირველ რიგში, ქრისტიანულ მორალს, მის ფუძემდებლურ პრინციპებს ეწინააღმდეგება. თორემ თვით პოზიცია, პირადად მე, მართებულადაც მიმაჩნია. საქართველოში მცხოვრებმა მუსლიმებმა უნდა იცოდნენ, რომ საუკუნეების განმავლობაში ქართველებს სწორედ მათი რელიგიის, ისლამის სახელით გვჟლეტდნენ, საკუთარი მიწაწყლიდან გვასახლებდნენ, ძირძველ ქართულ ტერიტორიებს გვტაცებდნენ, მართლმადიდებლობა კი ამ განსაცდელში ის ბურჯი იყო, რომელიც ჩვენს ერს მონოლითად ჰკრავდა და აერთიანებდა ... ამიტომაც მართებთ მათ ქართულ მიწაზე თავიანთი აღმსარებლობის აღსრულებისას მეტი ტაქტისა და სიფრთხილის გამოჩენა. ასეთი ტაქტი იქნებოდა, თუ ისინი თავიანთ მედრესეს მაიცდამაინც ქრისტიანებით მჭიდროდ დასახლებულ უბანში არ გახსნიდნენ. შესაძლოა, კანონი მათ ამას არ უკრძალავს, მაგრამ იურიდიული კანონების გარდა არსებობს დაუწერელი მორალური კანონები, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანი, ხშირ შემთხვევაში კი იურიდიულ კანონებზე უფრო მნიშვნელოვანიცაა. ჩვენს მუსლიმებს ადვილად შეუძლიათ წარმოიდგინონ, რა დაემართებოდათ ქართველ მართლმადიდებლებს, თუკი ისინი თურქეთის ან ირანის მაჰმადიანებს მათივე ქალაქებში ცხვირწინ ქრისტიანულ სიწმინდეებს გამომწვევად აუფრიალებდნენ.

ერთი სიტყვით, ჩვენმა მართლმადიდებლებმა უნდა შეიგნონ, რომ თავიანთი უფლებები რელიგიურ უმცირესობებსაც აქვთ და რომ უმრავლესობაში ყოფნა ყველაფრის უფლებას არ ნიშნავს. რაც მთავარია, ისწავლონ თავიანთი მოთხოვნებისა და პრეტენზიების ცივილიზებულად, კანონის ფარგლებში გამოხატვა. რელიგიურმა უმცირესობებმა კი პატივი უნდა სცენ იმ ქვეყნის და ხალხის ისტორიას, რომლის წიაღშიც ცხოვრობენ და პროვოკაციული ქმედებებით ხელს არ უნდა უწყობდნენ ქვეყანაში ვითარების დაძაბვას.

**უჩა ბლუაშვილი**

ალიან-ჩალიანი



## „მართლმსაჯულების მუზეუმს“ ახალი ექსპონატი შეემატა

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ უზენაესი სასამართლოდან აცნობეს , დაინტერესებულ პირებს დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ბრალდებულ გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო განხილვის სტენოგრაფიული ჩანაწერის ნახვა უკვე უზენაესი სასამართლოს „მართლმსაჯულების მუზეუმში“ შეეძლებათ.**

**„სასამართლო განხილვის სტენოგრაფიული ჩანაწერის თანახმად, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის განხილვა 1941 წლის 25 დეკემბერს დაიწყო და 1942 წლის 5 იანვარს დასრულდა. სასამართლო სხდომა სწორედ იმ დარბაზში მიმდინარეობდა, რომელიც დღეს ისტორიული დარბაზის სახელითაა ცნობილი. აღნიშნული საქმის მასალები ორი ტომისგან შედგება“, — აცხადებენ უზენაეს სასამართლოში.**

№187-188. სამშაბათი, 16 სექტემბერი, 2014 წელი.

## ბილდტის სევდიანი ისტორია

**რუსულ მედიაში დიდი ზარ-ზეიმია: „შვედურმა პრესამ დაადგინა, რომ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი სააკაშვილისგან ქრთამს იღებდა“ — ღრიალებს კრემლის საინფორმაციო მანქანა და, ეჭვმიუტანელ წყაროდ იმავე შვედურ პრესას ასახელებს.**

ჯერ ის გავარკვიოთ, ვინ და რა არის ეს „შვედური პრესა“: იგულისხმება პოპულარული ტაბლოიდი „Aftonbladet“ („საღამოს ფურცელი“). ძალიან პოპულარულია, მაგრამ მაინც ტაბლოიდია, თუმცა კი, ჯერ კიდევ 1830 წელს დაარსდა — შვედური მოდერნიზაციის ეპოქაში. მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დღეს „Aftonbladet“ „ყვითელ პრესად“ ითვლება. 2006 წელს, მისივე საკუთარი კორესპონდენტი პეტერ კადხამარი წერდა, რომ „საღამოს ფურცელი“ ლინდე რუსლინგის სექსუალურ თავგადასავლებს მეტ დროს და ადგილს უთმობს, ვიდრე ომს ერაყში. დიდმა შვედმა კინორეჟისორმა ინგმარ ბერგმანმა კი ამ გაზეთს „ბინძური სანაგვე“ უწოდა.

# როგორ კეთდება საინფორმაციო დივერსია!

თუმცა, ეს ყოველივე, რასაკვირველია, არ ნიშნავს, თითქოს ყველაფერი, რაც „Aftonbladet“-ში იბეჭდება, ტყუილია. უბრალოდ, მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სტატია კარლ ბილდტის მექრთამეობის შესახებ სწორედ ამ გაზეთში დაიბეჭდა და არა სხვაგან.

პუბლიკაციით ირკვევა, რომ შვედეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კარლ ბილდტი, 2005 წელს, ანუ მაშინ, როცა არანაირი სახელმწიფო თანამდებობა არ ეკავა, სათავეში ედგა კონსალტინგურ PR-კომპანია „Kreab“- ს, რომელმაც დაახლოებით იმ დროს გააფორმა კონტრაქტი საქართველოს მთავრობასთან ლობისტური საქმიანობის შესახებ და რამდენიმე მილიონი ევროც აიღო.




ლობიზმი დასავლეთში მიღებული პრაქტიკაა. მოგვწონს ეს თუ არა, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ იგი „კორუფციის ფორმაა“, ევროპელები და ამერიკელები ასე არ თვლიან: თუ ლობისტური კომპანია მოქმედებს კანონის ფარგლებში, არანაირი დანაშაული აქ არ არის.

მაგრამ ხომ არ იქმნება ინტერესთა კონფლიქტი, როდესაც ლობისტი გადადის სახელმწიფო სამსახურში? დასავლური კანონი და პრაქტიკა აქაც ერთმნიშვნელოვნად ამბობს: არა, არ იქმნება, რადგან მოსაზრებები და ეჭვები არ შეიძლება დაედოს საფუძვლად კონკრეტულ ბრალდებებს. მოსაზრებათა გამოთქმას არავინ გიშლით, მაგრამ ერთადერთი „ფასი“, რაც შეიძლება ამისთვის პოლიტიკოსმა გადაიხადოს, არის ამომრჩეველთა გულაცრუება და მისი პარტიის წარუმატებლობა არჩევნებში.

ანუ, თუ კარლ ბილდტი სააკაშვილისგან ფულს იღებდა მაშინ, როდესაც კომპანიის ხელმძღვანელი იყო და ამავე ან ასეთივე მოსაზრებებით აგრძელებდა მის მხარდაჭერას შემდეგაც, როდესაც უკვე საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა და ლობისტურ კომპანიას არ ხელმძღვანელობდა, მაშინ უნდა დაამტკიცო, რომ ამას აკეთებდა იმავე მერკანტილური მოსაზრებებით, როგორც ადრე. თუ ვერ ამტკიცებ, მაშინ მხოლოდ ეჭვია, რაც შეიძლება ტაბლოიდში გამოაქვეყნო, თუმცა, სერიოზული მედია არ დაბეჭდავს.

აქვე ბუნებრივად ისმის რამდენიმე კითხვა, რომელიც მარტივ სქემათა მოყვარულებს ძალიან არ მოსწონთ. მაგალითად ასეთი: დავუშვათ, კარლ ბილდტი მართლა იღებდა ფულს მიშასგან, როცა Kreab-ის ხელმძღვანელი იყო და სწორედ ამით აიხსნება მისი მხარდაჭერა შემდგომ წლებში, მათ შორის, საარჩევნო-საპრეზიდენტო კამპანიის დროს. მაგრამ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ხომ მხოლოდ პიროვნულად სააკაშვილს არ უჭერდა მხარს - მხარს უჭერდა საქართველოსაც რუსეთთან ომის დროს და შემდეგაც. ამასაც ქრთამის გამო აკეთებდა? რა თქმა უნდა, ზუსტად ასეთია რუსული მედიის ინტერპრეტაცია. იქ სააკაშვილ-ოპოზიციის დაპირისპირება იმდენად არ აინტერესებთ, რამდენადაც სწორედ ეს გეოპოლიტიკური მომენტი.

შემდეგ: კარლ ბილდტს ასეთივე მკვეთრად ანტირუსული პოზიცია ჰქონდა, მაგალითად, მოლდოვას საკითხში, უკრაინის თემაზე და ასე შემდეგ. იქაც ქრთამის გამო? „დიახ, რა თქმა უნდა, ქრთამის გამო, ისევე, როგორც 2008 წლის ომის დროს“ ამტკიცებენ რუსი გველპროპაგანდისტები. არ გჯერათ? აგერ კითხეთ ქართველებს. ჰოდა, დაიწყო ქართველი „სასარგებლო იდიოტების“ დოღი რუსულ ტელეარხებზე. მათ გარეშე რუსეთის „საინფორმაციო ჯარებს“ არაფერი გამოუვიდოდათ: მხოლოდ „Aftonbladet“-ის პუბლიკაცია საკმარისი ნამდვილად არ იქნებოდა.

„სასარგებლო იდიოტები“ ყველგან არიან, მაგრამ ამდენი და ასეთი — ნამდვილად არსად. ამიტომაც ესოდენ წარმატებული საინფორმაციო დივერსიებიც რუსეთს მხოლოდ საქართველოში გამოსდის.

კარლ ბილდტის სევდიანი ისტორიიდან ნებისმიერი დასავლელი პოლიტიკოსი იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საქართველოსთან სჯობს, საქმე საერთოდ არ დაიჭირო, თორემ აუცილებლად გაისვრები თვით ქართველების მონაწილეობით და ბრიყვული აღტკინებით, ხოლო რუსული პროპაგანდა უკვე დაბეჯითებით ამტკიცებს: ხომ ხედავთ, რას ამბობენ თვითონ ქართველები კარლ ბილდტის შესახებ. ესე იგი, მისი პოზიცია უკრაინაშიც ასეთივე „კორუმპირებულია“, ისევე, როგორც მოლდოვის საკითხში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის შემუშავებისას, ანტირუსული სანქციების თემაზე და ა.შ და ა.შ.

აქ ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ძალიან ძნელია, გაავლო ზღვარი პოლიტიკოსის პარტიულ ინტერესებსა და ქვეყნის ინტერესებს შორის: „ბილდტი თუ ფულს იმისთვის იღებდა, საქართველო დაეცვა რუსული აგრესიის დროს, ძალიან კარგიცო“ — იტყვის აბსოლუტური უმრავლესობა. მაგრამ ეს მხარდაჭერა ხომ ხელისუფლების მხარდაჭერაც გამოდიოდა?

კარგით, მიშამ ბილდტი იყიდა, სენატორი მაკკეინი იყიდა, მაგრამ მთელი „თეთრი სახლი“ და სახელმწიფო დეპარტამენტიც იყიდა რამდენიმე მილიონ დოლარად? იმათაც ხომ მხარი დაუჭირეს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ? ჯერ შედეგები არ იყო გამოცხადებული და უკვე მიულოცეს მეორედ არჩევა. ესეც ქრთამის გამო? თუ იმიტომ, რომ ასეთი იყო ამერიკისა და ევროპის გეოპოლიტიკური ინტერესი? ეს ინტერესი კი კაპიკებად არ იყიდება!

რაც შეეხება „საინფორმაციო დივერსიის“ ხელოვნებას, არც ისე ძნელი განსახორციელებელია: მთავარია გქონდეს ფული და შექმნა „საინფორმაციო საბაბი“: მაგალითად რომელიღაც ტაბლოიდში. ხოლო შემდეგ იმ ტაბლოიდზე დაყრდნობით ატეხო გნიასი, რითაც ერთდროულად რამდენიმე მიზანს აღწევ.

საქართველოს შემთხვევაში „მიღწევა“ ისაა, რომ დასავლურმა ელიტამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს: ეს პატარა, შორეული ქვეყანა გახეთქილია შიდა წინააღმდეგობებით. ამიტომ, სჯობს, მას საერთოდ არ გაეკარო, მასთან საქმე არ დაიჭირო და ქართველ პოლიტიკოსებთან რაიმე სიახლოვის იმიჯი არ შექმნა, თორემ ისევე ამოიგანგლები ტალახში, როგორც ბილდტი.

მერედა ვის, რომელ ქვეყანაში უნდათ ამოგანგლული პოლიტიკოსი?

ბოლოს და ბოლოს, იმ ხალხმა, ვინც ამ კაკაფონიაში მონაწილეობს, მარტივ კითხვას უნდა უპასუხოს: გვჭირდება თუ არა ლობიზმი დასავლეთში? თუ გვჭირდება, მაშინ სად გადის და ვინ დაადგენს ზღვარს ქვეყნისა და კონკრეტული ხელისუფლების პარტიულ ინტერესებს შორის? ხოლო თუ არ გვჭირდება ლობიზმი და ლობისტური კომპანიებისთვის ფულის გადარიცხვა დანაშაულად გამოცხადდება, მაშინ როგორ უნდა ვებრძოლოთ რუსულ პროპაგანდას დასავლეთში, როცა კრემლი მილიარდობით დოლარს ხარჯავს, რათა ევრო-ატლანტიკურ ისტებლიშმენტში მისთვის სასურველი სტერეოტიპები და განწყობა შექმნას?

ამ კითხვებს კაციშვილი არ პასუხობს. თუმცა, რომელ პასუხებზეა ლაპარაკი, როდესაც კითხვები არც კი ისმება, ხოლო რუსულ მედიაში ქართველ „სასარგებლო იდიოტთა“ დოღის შემხედვარეს გიძლიერდება ეჭვი, რომ ამ ქვეყანას მართლა არასდროს არაფერი ეშველება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## კაკალ გულში

# წიკვილოვანი თიხზები




● **არც მე არ მაქვს რაიმე სახელმწიფოებრივ დოკუმენტებზე ხელმოწერის უფლება, არც მე არ მიშვებენ ამერიკაში, არც მე მაქვს კომუნიკაცია საგარეო საქმეთა მინისტრთან და არც მე არ მელაპარაკება პრემიერ-მინისტრი.**

**მაიტათ თვეში 7000 ლარი!**

● **იურიდიული კონსულტაცია:**

**შეკითხვა: დღეს, ბანკომატში, NATO-ს ოქროს ბარათი მოვათავსე. პასუხად ეკრანზე გამოჩნდა ბრანწი, წარწერით: „უკან გაიკეთეთ“ — და რომელ პოეტს ვთხოვო სამართალია?**

**პასუხი: თქვენ მოძველებული სისტემის ბანკომატით გისარგებლიათ. ახალი მოდელები, წარწერის ნაცვლად მოქმედებას ასრულებენ.**

● **აუსრულდათ ოცნება ინტრიგან მეზობლებს, როგორც კი ბიჭებს დაინახავენ, ეგრევე პატრულში რეკავენ.**

● **არჩევნები რომ მოიგეს და შამპანიურებს უბათქუნებდნენ ქუჩაში, მაშინ არ იყო ეს კანონი ძალაში?**

**მორალისტებო, 3-4 წლის წინათ არის მიღებული ეს კანონი!**

● **საპარლამენტო უმრავლესობა, თურმე, პარლამენტის თბილისის შენობაშია გამაგრებული, უმცირესობა კი — ქუთაისისაში.**

**გადამწყვეტი შერკინება ალბათ წიფის „ტუნელში“ გაიმართება.**

● **რაღა ქუჩაში დაგილევია 1 ბოთლი ლუდი და რაღა კაი რესტორანში გიქეიფია.... ხარჯი ერთია...**

● **ერთი სიტყვით, არ ვიშლით მეტიჩრობას და, ყველას და ყველაფრის უფლებების დაცვას ვცდილობთ, გარდა ჩვეულებრივი, წესიერი ქართველი კაცის უფლებებისა.**

● **ისე რას ელოდით? სუფრებზე, სადღეგრძელოებში და ქუჩის აკადემიაში დაგროვილი ცოდნით ქვეყანა აშენდებოდა?**

● **მაჩვენე შენი მანქანის ახალი ნომრები და, თუ სურვილი დამრჩა, გეტყვი ვინ ხარ შენ!**

● **ნეტა ერთხელ ისეთი აღშფოთებულები მანახა, ხელს ჩაიქნევდნენ და საერთოდ შეგვეშვებოდნენ...**

● **მალე მაჭარაშვილებს, არაყიშვილებს და ღვინიაშვილებსაც დააჯარიმებენ!**

● **ქართული ლუდები აგეკრძალათ — აი, ეგ იქნებოდა ნამდვილად ეროვნული საქმე.**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

## გუშინდელი ფოსტიდან

# რა დააშავეს ორდენოსნებმა?

**ქვეყანაში ღირსების ორდენოსნებს ადრე პენსიაზე 25-ლარიანი დანამატი ეძლეოდათ. სააკაშვილის უგუნურმა მთავრობამ ყოველგვარი დანამატები გააუქმა. დღეისათვის მაგალითად, ძალოვანებს პენსიები დაურეგულირდათ და ეს ძალიან კარგია, მაგრამ ღირსეული ადამიანები მთავრობას დაავიწყდა. კანონმდებლებს თავისთვის არც დანამატები და არც პრემიები არ ავიწყდებათ. საკმარისია პარლამენტში ერთი გაიაროს კაცმა და მთელი ცხოვრება, თუნდაც პენსიის ასაკამდე, რატომღაც პენსია ეძლევა. ამიტომაც იკლავენ თავს პარლამენტის სავარძლისთვის.**

**ვიცი, მზად არის ვეტერანთა საპენსიო უზრუნველყოფაც. რუსეთს ჩვენი პოლიტიკოსები ხშირად ახსენებენ უარყოფითად. მინდა, იცოდეთ. იქ მინიმალური პენსია 200 დოლარის ტოლფასია, ჩვენში კი ღირსების ორდენოსან პენსიონერებს 25 ლარსაც არ უწყალობებენ, განა ეს სამართლიანია? მით უფრო ლარის მსყიდველობითი უნარი სულ უფრო ეცემა.**

**ჟანი დოლიძე,**
ღირსების ორდენის კავალერი

# გრიგოლეთი მისახედია

**დამეთანხმებით ჩვენი ზღვისპირა ზოლი ამჟერად დიდი აღარ არის: ბათუმი, ქობულეთი, გრიგოლეთი, ფოთი, ანაკლია.**

**ანაკლიას, ასე თუ ისე, უპატრონეს: აგერ კაზანტიციც კი გამართეს, ქობულეთი ძველი კურორტია და ხელი ატყვია (ყველას ახსოვს გახმაურებული სეხსების თემა). ურეკს ხან ბადრი პატარკაციშვილი პატრონობდა და ხანაც ივანიშვილი პატრონობს. გრიგოლეთთან კი, მიუხედავად იმისა, რომ დასახლებული პუნქტია, მანქანები დღესაც მთელი სიჩქარით (ტრაილერები და მსუბუქი მანქანები) მიერეკებიან, და წამლად ნიშანიც კი არ არის, რომ ის დასახლებული პუნქტია. ერთი განათების ბოძიც კი არ დგას. ეტყობა, ლანჩხუთელებს გრიგოლეთი გერივით ჰყავთ მოძულებული და მიტოვებული. ნაპირს ზღვა ურეცხავს და ხმელეთს ბრაკონიერები არ აკლია. თუ გაწვიმდა დენი ირთვება, მოკლედ გრიგოლეთი მისახედია.**



**სხვათა შორის, იქვე ფოთს რომ მიუახლოვდებით, გზა განათებულია და გულიც გაგინათდება — პატრონის ხელი ატყვია. აი, გრიგოლეთი კი თითქოს სხვა სახელმწიფოს ნაწილია.**

**მეგი ბარამიძე,**
**შალვა თოიძე,**
დამსვენებლები

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვაშინგტონმა საქართველოს ხელისუფლებას „ყვითელი ბარათი“ უჩვენა

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა დაგმო სასამართლო დევნა საქართველოში ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მისი თანამებრძოლების მისამართით ოპოზიციური პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ამასთანავე გააფრთხილა იგი სერიოზული საფრთხის შესახებ ამგვარი პრაქტიკისათვის ქართულ დემოკრატიაში.** ოპოზიციონერები სახელმწიფო დეპარტამენტის გაფრთხილებას მიიჩნევენ სერიოზულ სიგნალად ხელისუფლებისთვის, მაშინ, როდესაც მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ ლიდერები მოგვიწოდებენ, არ მოვახდინოთ სიტუაციის დრამატიზება.

„ჩვენ შეშფოთებული ვართ სისხლის სამართლის გამოკვლევების გაგრძელების გამო ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ“, — განაცხადა ტრადიციულ ბრიფინგზე სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივნის მოადგილემ მარი ჰარფმა. ამერიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების წარმომადგენლის აზრით, ქართულ დემოკრატიას მიაყენეს დიდი ზიანი „პოლიტიზებულმა სასამართლო გარჩევებმა ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, თავდაცვის ექსმინისტრის ბაჩანა ახალაიას, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის და თბილისის ექსმერის გიგი უგულავას მიმართ. ქალბატონმა ჰარფმა

## აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი შეშფოთებულია ოპოზიციის წინააღმდეგ სასამართლო პროცესების გამო

მოუწოდა „საქართველოს ყველა პროდასავლურ ძალებს“, დაიწყონ მოლაპარაკებები და „გაერთიანდნენ საერთო ღირებულებათა საფუძველზე“.

სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება დაკავშირებულია იმასთან, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურა ბრალს სდებს ექსპრეზიდენტ სააკაშვილს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებასა და სახელმწიფო სახსრების გაფლანგვაში. ამ ცოტა ხნის წინათ ქვეყნის იუსტიციის სამინისტრომ მიმართა ინტერპოლს თხოვნით, გამოაცხადოს საერთაშორისო ძებნა ყოფილ პრეზიდენტზე. თავად მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი (რომელსაც იგი „საქართველოს არაფორმალურ ხელმძღვანელად“ მოიხსენიებს) სდევნის მას „ვლადიმერ პუტინის ბრძანებით“.

ქართულმა ოპოზიციამ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება მიიჩნია მნიშვნელოვან მოვლენად ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებში. „შეიძლება იდავო მხოლოდ იმის შესახებ, რომ ეს არის „ყვითელი ბარათი“ თუ „წითელი“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით დარჩიაშვილმა.




მისი აზრით, ამერიკის შეერთებული შტატები „კიდევ ერთ შანსს აძლევს საქართველოს ხელისუფლებას დაფიქრდეს, მაგრამ ბიძინა ივანიშვილსა და მის გუნდს ძნელად რომ ჰქონდეთ უნარი დაიხიონ უკან სტალინური მეთოდებისგან“. ჩვენი თანამოსაუბრის აზრით, ამან შეიძლება მიგვიყვანოს იმასთან, რომ ვაშინგტონი დაიწყებს „საქართველოს იზოლაციას“.

მაგრამ მმართველ კოალიციაში არც ასე პესიმისტურად არიან განწყობილი. პარლამენტის წევრი „ქართული ოცნებიდან“ ზაქარია ქუცნაშვილი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ ამერიკელების შეშფოთებას არა აქვს საფუძველი. „მათი შიში, რომ ვინმე მოახდენს სასამართლო გამოკვლევების პოლიტიზირებას, დიდად გადაჭარბებულია“, — მიაჩნია ბატონ ქუცნაშვილს. მან შეგვახსენა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის დროს „სახელმწიფო დეპარტამენტი საუბრობდა საქართველოში პოლიტპატიმრების შესახებ, ამჟამად კი მხოლოდ გვაფრთხილებს საფრთხის შესახებ“. მთლიანად, „ქართული ოცნების“ დეპუტატების აზრით, სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებები — ეს მხოლოდ რიტორიკაა და იგი არ მიგვიყვანს ამერიკა-საქართველოს ურთიერთობათა რევიზიასთან.

Коммерсант

ინტერნეტიდან

# ამერიკის დახმარება რუსეთის დაუცველ მეზობელს

**„ნიუ-იორკ თაიმსის“ სარედაქციო სტატიაში მიმოხილულია საქართველოში აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ჩაკ ჰეიგელის ვიზიტის შედეგები, დადებითადაა შეფასებული საქართველო-აშშ-ის სამხედრო თანამშრომლობა, ნატოსთან ურთიერთობა და გამოხატულია ოპტიმიზმი, რომ აშშ-ის დახმარებით საქართველოს უსაფრთხოება განმტკიცდება.**

**გთავაზობთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ სტატიას მცირე შემოკლებით:**

აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ჩაკ ჰეიგელის ვიზიტი თბილისში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის — საქართველოს დასაიმედებლად გამოხატულ გამამხნევებელ ჟესტს წარმოადგენს, რომელმაც შეერთებულ შტატებს კონფლიქტებში დახმარება გაუწია და სულ უფრო მეტადაა შეშფოთებული რუსული ექსპანსიონიზმით.

საქართველოს დიდი ხნის მცდელობები ნატოში გასაწევრებლად სავსებით გასაგებია. რუსეთმა საქართველოსთან ომის დროს, 2008 წელს, ამ ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 20%-ის ოკუპირება მოახდინა. მას შემდეგ, რაც რუსეთმა მარტში უკრაინის ნაწილის — ყირიმის ანექსია განახორციელა, ქართველი ლიდერები შიშობენ, რომ აგრესიული მეზობელი საქართველოს საზღვრების გასწვრივ ტერიტორიებს მიისაკუთრებს.

შეერთებული შტატები და მისი ნატოელი მოკავშირეები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის სამხედრო დახმარების გაწევის მცდელობისას ხისტი ბალანსირების პრობლემას აწყდებიან: ისინი პარტნიორები კი არიან, მაგრამ ნატოს წევრები არ არიან. ალიანსის წევრებად საქართველოსა და უკრაინის უმოკლესი გზით მიღებას, შესაძლოა, რუსეთისაგან სერიოზული პასუხი მოჰყვეს იმ დროს, როცა დასავლელი ლიდერები რეგიონში დაძაბულობის შენელებას ცდილობენ. აღნიშნული ქვეყნების ნატოში ინტეგრირებას ასევე შეუძლია ალიანსის ჩათრევა შეიარაღებულ კონფლიქტებში, რომელიც დაუშვებელია ერაყსა და სირიაში არსებული უდიდესი პრობლემების ფონზე. ამის გათვალისწინებით, ბარაკ ობამას ადმინისტრაცია გონივრულ და გამოზომილ ნაბიჯებს დგამს საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას დასაიმედებლად.



ჩაკ ჰეიგელის ვიზიტი თბილისში, რომელიც პირველი იყო ბოლო ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სწორედ რომ გამამხნევებელი ტონით განხორციელდა: „**რამდენადაც საქართველო შეერთებული შტატების ერთგული და საიმედო პარტნიორია,** — თქვა მან, — **ჩვენ გვსურს, გავაგრძელოთ საქართველოს დახმარება მისი ევროატლანტიკური მიზნების განხორციელებაში, ნატოში გაწევრების ჩათვლით“.**

საქართველო, რომლის ჯარისკაცები ერაყში, აშშ-ის მიერ შექმნილ კოალიციურ ძალებში მსახურობდნენ, ერთ-ერთი მსხვილი მონაწილე გახდა ავღანეთის ოპერაციებისაც, მაშინ როცა ამერიკის მოკავშირეები თავიანთი ჯარების კონტინგენტს ამცირებენ ან იქიდან საერთოდ გაჰყავთ.

საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი ამ კამპანიებში გათვლილი იყო იმაზე, რომ ეს ქვეყანა ნატოს წევრი გახდებოდა. სამწუხაროდ, მისი მცდელობები გერმანიის მხრიდან წინააღმდეგობას აწყდება, თუმცა, გასულ კვირას, ნატოს სამიტზე თბილისმა მნიშვნელოვანი დამამშვიდებელი პრიზი მიიღო: ალიანსის ლიდერებმა საქართველო ხუთ ქვეყანას შორის ბლოკის ერთ-ერთ უპირატეს პარტნიორად დაასახელეს, რომლებთანაც ნატო გაფართოებულ თანამშრომლობას აპირებს.

საქართველოსთვის ახალი სტატუსის მინიჭება უზრუნველყოფს დასავლეთთან სადაზვერვო მონაცემების გაზიარებას და სამხედრო მომზადების ფართო შესაძლებლობებს. ნატოს წევრები შეთანხმდნენ აგრეთვე საქართველოში სიმბოლურ მცირე საწრთვნელი ცენტრის გახსნაზეც.

**შეერთებულ შტატებს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია. საქართველო ცდილობს, თავისი შეიარაღებული ძალების მოდერნიზება განახორციელოს, მაგრამ როგორც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, წლების განმავლობაში თბილისის თხოვნები (იარაღის მიწოდებაზე) ამერიკელი თავდაცვითი კონტრაქტორების მხრიდან უპასუხოდ რჩებოდა. ჩაკ ჰეიგელის ვიზიტის შემდეგ კი ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ „ჩუმი ემბარგო“ როგორც ჩანს, უკვე მოიხსნა.**

საერთოდ, ცნობილია, რომ პენტაგონის საგარეო გაყიდვების სისტემა საკმაოდ ნელა მუშაობს, მაგრამ განსაზღვრული გარემოებების დროს მას სწრაფი მოქმედებაც შეუძლია. საჭიროა აჩქარება, რათა საქართველოს შეკვეთა დროულად შესრულდეს.

ჯი-ეიჩ-ენი

## დედამიწის ზურგზე



**ელიზაბეტა მეორემ შოტლანდიელებს ურჩია, „კარგად იფიქრონ“ დამოუკიდებლობისათვის კენჭისყრის წინა დღეს**

მონარქის პირველი კომენტარი შოტლანდიის დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმთან დაკავშირებით, რომელიც სამი დღის შემდეგ გაიმართება, გაჟღერდა კერძო საუბარში სასოფლო ეკლესიიდან გამოსვლის ადგილზე. დედოფალი დადის ამ ეკლესიაში თავისი დასვენების დროს შოტლანდიის რეზიდენციაში ბალმორალში. ბუკინგემის სასახლის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს კომენტარი გაეკეთებინათ ელიზაბეტას სიტყვებისათვის.

* * *

**შვედეთის პრემიერ-მინისტრი გადადგა, ადგილს უთმობს ყოფილ შემდუღებელს**



საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, შვედეთის ახალი მთავრობა ჩამოყალიბდება სამი მარცხენა პარტიისაგან, არ არის გამორიცხული, ოპოზიციაში აღმოჩენილ კონსერვატორებთან თანამშრომლობაც. მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელის პოსტი შეხვდება სტეფანო ლიოვენს, პროფკავშირულ მოღვაწეს, რომელიც პოლიტიკაში 2,5 წლის წინათ მოვიდა. უკვე მოასწრეს, გამოეცხადებინათ იგი სუსტ პრემიერად.

* * *

**მსოფლიო „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ომისთვის ემზადება: პარიზში შეიკრიბა კონფერენცია სირიასთან და ერაყთან დაკავშირებით**



ორშაბათს, პარიზში შეიკრიბა საერთაშორისო კონფერენცია ერაყსა და სირიაში სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ესწრებიან დაახლოებით 20 ქვეყნის წარმომადგენლები. ამერიკის შეერთებულ შტატებს იმედი აქვს, რომ შეიქმნება ფართო კოალიცია ვაშინგტონის მეთაურობით. სექტემბრის ბოლოსთვის, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის წინ, ცნობილი უნდა გახდეს მისი საბოლოო შემადგენლობა.

* * *

**„ისლამური სახელმწიფო“ ყოველდღე ნავთობის გაყიდვით 3 მილიონ დოლარზე მეტს გამოიმუშავებს**

ეს მას ხდის ყველაზე მდიდარ ტერორისტულ ორგანიზაციად ისტორიაში: „ისლამისტური სახელმწიფოს“ ექსტრემისტები აკონტროლებენ 11 ნავთობსაბადოს სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე. იქ მოპოვებული ნავთობი ავტოცისტერნებით მიაქვთ იორდანიის, თურქეთისა და ირანის შავ ბაზრებზე. „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ დაწესებული ფასი არის 25-დან 60 დოლარამდე ერთ ბარელში.





# ჩვენ, ცივილიზაციის უთხელეს ნაჭუჭში მოქცეულნი...

**ყოველწლიურად მსოფლიოს ქალაქებში საშინელ ჭყლეტაში ათასობით ადამიანი იღუპება. ამის მიზეზი ხშირად დიდ მაღაზიებში საქონლის ფასდაკლებით გაყიდვები, სხვადასხვა სახეობის სარეკლამო, საკონცერტო და სპორტული შოუები, გადატვირთული ტრანსპორტი, მასობრივი არეულობები და სხვა ხდება ხოლმე. იქ, სადაც ბევრი ხალხი იკრიბება, ჭყლეტა ყოველთვის შეიძლება წარმოიშვას.**

**არადა, ექიმები აცხადებენ, რომ ჭყლეტაში წაქცეული კაცი თითქმის ყოველთვის იღუპება: რაღაც ნივთის შეღავათიანად ყიდვის თუ სანახაობის ნახვის ჟინით შეპყრობილი ადამიანები ნახირს ემსგავსებიან, რომელიც წაქცეულებს ყოველგვარი სიბრალულის გარეშე ფეხებით თელავს. ასეთი წყვეტა, შესაძლოა, ცუდად ორგანიზებული მასობრივი სანახაობის, ანდა უცბად წამოსული ძლიერი წვიმის მიზეზით დაიწყოს. მასში მოყოლილი ადამიანები კი ცივილიზაციის კიბეზე რამდენიმე საფეხურით ქვევით ჩამოდიან და, გარკვეულწილად, ველურებად იქცევიან.**

1999 წლის 30 მაისს ბელარუსის დედაქალაქ მინსკში მდინარე სვისლოჩის სანაპიროზე ლუდის დღესასწაული ტარდებოდა. ახალგაზრდობის მთავარი სატყუარა პოპულარული როკ-ჯგუფის „მანგო-მანგოს" უფასო კონცერტი იყო, რომლის მიმდინარეობის დროს ქალაქს უეცრად ძლიერი წვიმა და სეტყვა დაატყდა თავს. მრავალათასიანმა ბრბომ თავშესაფრის ძებნა დაიწყო, ძირითადმა მასამ მეტროს სადგურ „ნემიგას" მიაშურა. ასმეტრიან მიწისქვეშა გასასვლელში რამდენიმე ათასზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი, ხალხს ფეხი უცურავდა, გარედან კი ახალ-ახალი გალუმპულები შემორბოდნენ, მეტროს მატარებლიდან კი დღესასწაულზე დასასწრებად მოსული დაგვიანებულები გამოდიოდნენ. ორი ბრბო ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა, საშინელ ჭყლეტას კი პანიკა მოყვა. მაღალქუსლიანი ფეხსაცმლიანი ქალიშვილები, რომლებიც წინ იყვნენ, სანიაღვრე ჭების გისოსებიან სახურებში გაიჭედნენ და წაიქცნენ, უკნიდან კი ხალხი აწვებოდა... სწორედ მაღალი ქუსლები გახდა ბევრის სიკვდილის მიზეზი: მათზე შემდგარი სხვა ქალიშვილები, რომლებიც წაქცეულების უკან მორბოდნენ, ზედ უვლიდნენ და ბევრსაც სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს. ზოგს ნეკნები იმდენად დაემსხვრა, რომ დამსხვრეულმა ძვლებმა ფილტვები დაუხვრიტეს... იმ ავბედით დღეს, მეტროს სადგურ „ნემიგაში" ორმოცდაცამეტი კაცი დაიღუპა, მათ შორის თოთხმეტიდან ოც წლამდე ორმოცი ქალიშვილი, კიდევ ასორმოცდაათმა კაცმა სხვადასხვა სიმძიმის სხეულის დაზიანება მიიღო.

2000 წლის ნოემბერში მოსკოვში, მშვიდობის პროსპექტზე ახალი, ევროპაში უდიდესი სავაჭრო ცენტრი „ოქროს ბაბილონი" გაიხსნა, სადაც ერთ ჭერქვეშ ოთხასი მაღაზია, სავაჭრო, დასასვენებელი და გასართობი ზონაა განთავსებული. ტექნიკური მიზეზების გამო, ცენტრის გახსნა ერთი საათით დაგვიანდა, ხოლო როცა ჰიპერმარკეტის კარები გახსნეს, შიგნით შევარდნილმა ბრბომ ყველაფერს ზედ გადაუარა: ხალხი რეკლამამ მიიზიდა, რომლის თანახმად პირველ დღეს ვაჭრობა ძალიან დიდი ფასდაკლებით გაიმართებოდა. ადამიანები ვიტრინებს ლეწავდნენ, ესკალატორებს აზიანებდნენ, უშიშროების სამსახური კი ვითარებას ვერანაირად ვერ აკონტროლებდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ „ოქროს ბაბილონის" გახსნამდე ცოტა ხნით ადრე მოსკოვის მერიის შესაბამისმა სამსახურმა ობიექტის მწყობრში გაშვების ნებართვა უკან გაიწვია, ვინაიდან მფლობელებს ეგრეთ წოდებული „უსაფრთხოების პასპორტი" არ აღმოაჩნდათ. იმ დღეს, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, არავინ დაღუპულა, თუმცა კი რამდენიმე კაცი დახეიბრდა.

1975 წლის 10 მარტს კი სოკოლნიკის სტადიონზე საბჭოთა კავშირსა და კანადის ჰოკეის ნაკრები გუნდების შეხვედრა გაიმართა, რომელზე მოხვედრას მთელი მოსკოვი ცდილობდა. ბევრმა მშობელმა თამაშზე დასასწრებად შვილები მიიყვანა, ტრიბუნებზე ბევრი მოზარდიც იყო. თავდაპირველად თამაში თანაბარი იყო, მერე საბჭოელი ჰოკეისტები დაწინაურდნენ, მესამე პერიოდის დასასრულისთვის კი კანადელმა გულშემატკივრებმა მაყურებელთა წინა რიგებში საღეჭი რეზინისა და თავიანთი გუნდის ლოგოტიპიანი ბურთულაკებიანი კალმისტრების სროლა დაიწყეს, რასაც, როგორც ჩანს, მაყურებელთა ყურადღების გადასატანად აკეთებდნენ. იმდროინდელ საბჭოთა კავშირში საღეჭი რეზინი საყოველთაო დეფიციტი, რაღაც „არაამქვეყნიური" საგანი იყო, ამიტომ ბავშვებმა უმალ დაიწყეს უცხოური ნუგბარის აკრეფა, ვინლა უგდებდა ყურს მშობლების მკაცრ შეძახილებს... შეხვედრაზე დამწრე სპორტული ფუნქციონერები და სტადიონის ხელმძღვანელები შიშის ზარმა აიტანა: მათ კარგად ესმოდათ, რომ საბჭოთა ადამიანების ასეთი მოქცევა დაუშვებელია, რომ დასავლური პრესის ფურცლებზე მოხვედრილი ამის ამსახველი სამარცხვინო ფოტოები მათთვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იქნებოდა... ამიტომ მათ სრულიად არაადეკვატური რამ გააკეთეს, რაც მარტო საბჭოთა ფუნქციონერის დაფერდებულ ტვინს მოაფიქრდებოდა — დარბაზში შუქი ჩააქრეს და კარები გადარაზეს, თუმცა კი, მოედანზე თამაში გრძელდებოდა. საყოველთაო ჭყლეტა კი მას შემდეგ დაიწყო, რაც ვიღაცამ დაიძახა, რომ კანადელთა ტრიბუნაზე საღეჭ რეზინას არიგებენო... ხალხი ჩაკეტილ კარებს მიაწყდა, სიბნელეში უკან გამობრუნება კი ველარ შეძლო... ამასობაში თამაში დამთავრდა, ჰოკეისტები კი ვერც ხვდებოდნენ, თუ რა ტრაგედია ტრიალებდა დარბაზში... იმ დღეს ყინულის სტადიონზე ოცდაერთი კაცი, მათ შორის, შვიდი მოზარდი, დაიღუპა, ასობით კაცი კი მძიმედ დაშავდა...

# სამყაროს ერთობის ფუძემდებლური პრინციპი

**კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის პროფესორმა დებორა ნოლანმა სტუდენტებს თვალის ერთი გადავლებით ერთობ უცნაური დავლება მისცა. პირველ ჯგუფს მონეტა ასჯერ უნდა აეგდო და შედეგი ჩაენიშნა: ალჩუ იქნებოდა თუ თოხანი („არიოლი" თუ „რეშკა"). მეორეს კი მონეტის აგდების პროცესი უბრალოდ უნდა წარმოედგინა და ასევე შეედგინა ასი „წარმოსახვითი" შედეგის ჩამონათვალი.**

ექსპერიმენტის ჩატარების დროს პროფესორი ნოლანი აუდიტორიიდან გადის, და, ამდენად, არ იცის, თუ რომელი ჯგუფი რას აკეთებს — ვინ ჰაერში მართლა აგდებს მონეტას და ვინ შედეგს საკუთარი ფანტაზიისდა მიხედვით იღებს. ორივე ფურცელზე ერთი შეხედვაც კმარა, რომ პროფესორი უშეცდომოდ ასახელებს თუ რომელი ჯგუფი ექსპერიმენტს როგორ ატარებდა.



როგორ ახერხებს პროფესორი ნოლანი ამას? პასუხი, თურმე, მარტივია: საქმე ის არის, რომ „ჭეშმარიტ" მონაცემებში ყოველთვისაა უბნები, რომლებიც ადამიანთა უმრავლესობას „არაშემთხვევითად" მოეჩვენებოდა, ვთქვათ, ზედიზედ ექვსი „ალჩუ". შემთხვევითობის სიმულირების მცდელობისას კი სტუდენტები ასეთ მიმდევრობებს თავს არიდებდნენ. შედეგად „ჭეშმარიტი" შემთხვევითობის „ყალბისგან" გარჩევა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

აღნიშნული ექსპერიმენტი თვალნათლივ მოწმობს, რომ ადამიანები ჯეროვნად არ აფასებენ შემთხვევითობის ძალას. ნებისმიერი მოვლენის გააზრებისას ჩვენ არ შეგვიძლია სათანადოდ შევაფასოთ, თუ როგორი შედეგები შეიძლება მოყვეს ერთი შეხედვით სრულიად უაზრო ფენომენებს.

შემთხვევითობის ბუნების გაგება რთულია, სამაგიეროდ შესაძლებელია მისი გაანგარიშება, რასაც მეცნიერება სტატისტიკას უწოდებს.ის ფაქტი, რომ ერთეული მოვლენები მუდამ შემთხვევით ხდება ხოლმე, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი წინასწარმეტყველება შეუძლებელია — ეს ალბათობის თეორიის კვლევის საგანს წარმოადგენს. არ უნდა გვეგონოს, რომ ალბათობის თეორია — ეს ის ინსტრუმენტია, რომელსაც მხოლოდ ცოდნის არასაკმარისი დონის გამო ვიყენებთ, რადგან მოვლენებს შორის მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირების დადგენა არ შეგვიძლია. სინამდვილეში „ალბათობა" — სამყაროს ორგანიზებულობის ფუძემდებლური პრინციპია.

ადამიანისთვის დამახასიათებელია კანონზომიერებათა მიგნება იქ, სადაც ისინი არ არის, რაც ადვილი ასახსნელია ევოლუციური თვალთახედვით. ჩვენი წინაპრებისთვის კანონზომიერებათა ძიება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნარი იყო — სწორედ მასში მდგომარეობს ინტელექტის არსი. მაგალითად, თუკი ცხოველს რამდენჯერმე მდინარესთან შენიშნავდნენ, ასკვნიდნენ, რომ ის იქ შემთხვევით არ მისულა, ამიტომ ამ ცოდნის გამოყენება ნადირობისას შეიძლებოდა. თუკი ტომის რამდენიმე წევრმა რაღაც კენკრა ჭამა და ავად გახდა, ესე იგი მათი საჭმელად გამოყენება საშიშია და ა. შ.

გასაკვირი არ არის, რომ ეს თვისება ყოველთვის ობიექტური არ არის. ამიტომაცაა, რომ ძველ ადამიანს ასე სწამდა ღმერთებისა და სხვა შეუცნობელი ძალების. როცა მას არ შეეძლო აეხსნა, თუ საიდან მოდის წვიმა და ჭექა-ქუხილი, იგი მათი „ქცევის" ახსნას ცდილობდა. ღმერთებიც ამისთვის დასჭირდა: თუკი ყველაფერში მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირის ძიებას დავიწყებთ, ადრე თუ გვიან შემთხვევითობისთვის ახსნის გამოგონება დაგვჭირდება, როგორი ფანტასტიკურიც არ უნდა იყოს იგი. რაც უფრო ნაკლები ვიცით გარესამყაროს შესახებ, მით უფრო მეტი რელიგია გჭირდება კომფორტული არსებობისთვის.



# სიცხე და... აზროვნება

**ამერიკის შეერთებული შტატების კესლერის ფონდის მკვლევარებმა დოქტორ ვიქტორია ლაევიტის ხელმძღვანელობით დაადგინეს, რომ სიცხეში ადამიანის ინტელექტუალური პოტენციალი ქვეითდება. თუმცა, ერთი კია: ეს მხოლოდ გაბნეული სკლეროზით დაავადებულებს მოსდით, ჯანმრთელ ადამიანებზე კი სიცხე ასეთ ზეგავლენას არ ახდენს.**

გაბნეული სკლეროზით დაავადებულებს წლის თბილ დროს სწავლა, მიღებული ინფორმაციის დამახსოვრება და გადამუშავება უჭირთ — ეს დასკვნა მეცნიერებმა 50-50 სნეული პირისა და ჯანმრთელი მოხალისის შესწავლის შედეგად გამოიტანეს.

გამოკვლევის ყველა მონაწილეს, ტესტების მეშვეობით ინფორმაციის მიღება-დამუშავება სთხოვეს, რა დროსაც მათი სწავლის უნარს და მის სისწრაფეს აფასებდნენ. ამასთან, სკლეროზით დაავადებულებს თავის ტვინის სკანირება ჩაუტარეს. ტესტების ჩატარების დღეებში კი მკვლევარები ატმოსფერულ ტემპერატურას აღრიცხავდნენ.

გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ დაბალტემპერატურიან დღეებში, გაბნეული სკლეროზით დაავადებული ადამიანები დავალებებს 70 პროცენტით უკეთ ასრულებდნენ, ვიდრე ცხელ დღეებში. ამავე დროს, ჯანმრთელი ადამიანების ეს უნარები ატმოსფერულ ტემპერატურაზე დამოკიდებული არ ყოფილა.

— ეს პირველი გამოკვლევაა იმისა, თუ როგორაა ერთმანეთთან დაკავშირებული კლიმატური პირობები და ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები, — აცხადებს დოქტორი ლაევიტი. — აღნიშნული გამოკვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასზე დაყრდნობით გაბნეული სკლეროზით დაავადებულ ადამიანებს თავიანთი ცხოვრების უკეთესად დაგეგმვის საშუალება ექნებათ, ხოლო მკურნალმა ექიმებმა პაციენტების ეს თავისებურებები უნდა გაითვალისწინონ.

# „დამტენი"... ზურგჩანთა

**ბოლო წლებში მობილურ მოწყობილობათა (ეგრეთ წოდებული „გაჯეტების") ათასნაირი დამტენი გამოუშვეს. ახლა გაჯეტებს წყლის, კოცონის, მზის, ავტომანქანების აკუმულატორებისა და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი სხვა სახეობის ენერგიით ტენიან. მაგრამ, დამტენ მოწყობილობათა ამ ნაირფეროვნებაშიც კი კანადელ გამომგონებელთა მიერ დამუშავებული GO Kin-ი ორიგინალობით გამოირჩევა.**

საქმე ის არის, რომ ცოტა ხნის წინათ შექმნილი GO Kin-ი მართლაც არაჩვეულებრივი დამტენია, რომელიც ბუნებაში გამოსაყენებლად შექმნეს. მოგეხსენებათ, ტყეებსა და მინდვრებში ელექტროქსელი არ არის, ამდენად კაცს ან ახლომახლო სოფლის, ანდა მზის „იმედი" უნდა ჰქონდეს. თუმცა, როცა საქმე მრავალდღიან ლაშქრობებს ეხება, ამის იმედად ყოფნა ძნელია.

GO Kin-ი — ეს ჩვეულებრივი ტურისტული ზურგჩანთაა, მისი „საიდუმლო" კი იმაში მდგომარეობს, რომ მასში დინამო-მანქანიანი აკუმულატორია „ჩაშენებული", რომელიც... ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. მთავარი „ფოკუსი" კი ის არის, რომ ელექტროენერგიას ის „აწარმოებს", ვისაც ასეთი ზურგჩანთა მოკიდებული აქვს. საამისოდ, ტურისტის ფეხზე საგანგებო მავთულს ამაგრებენ, რომლის მოძრაობა დინამო-მანქანას ატრიალებს, რომელიც თავის მხრივ, აკუმულატორს ანდა უშუალოდ მობილურ მოწყობილობას ტენის. ასეთი ზურგჩანთის წონა 1,2 კილოგრამი, ფასი კი 400 დოლარია.

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს სამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბერბუკის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1825 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბერბუკის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 59 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 212 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 16 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 2 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს სამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოსიაურის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 7 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოსიაურის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 0,20 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 0,02 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 200,05 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 16 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 3 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 16 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №56** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლის მიმართულებით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმიანობისათვის მიღებული უსაფრთხოების წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს, ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. საკაპის მიმდებარე ტერიტორიაზე, კონგლომერატის (საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 403 200 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. საკაპის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 16 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №57** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყულევის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 36 500 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყულევის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 180 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 118 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 436 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 16 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №58** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, |

| | | |
|---|---|---|
| | | აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყლის დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. სამტრედიის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 825 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. სამტრედიის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 59 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 212 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 16 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №59**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმიანობისთვის მიღებული წესების და ნორმების დაცვით.<br>ბ) მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი არ უნდა ჩაიყაროს მდ. თეძამის ხეობაში, რათა არ მოხდეს კალაპოტის ჩახერგვა და განვითარდეს ნეგატიური მოვლენები.<br>გ) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩაჩუბეთის მიმდებარე ტერიტორია, „ჩაჩუბეთის" ტუფის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 96 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩაჩუბეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 16 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №60**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დაბა ლენტეხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. დვვამის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 7 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დაბა ლენტეხის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 304 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 130,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 461 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 16 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №61**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ინერტული მასალის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ხონის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყალზე, „ხონის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $B+C_1+C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 40 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ხონის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 165 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 616,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1433 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 16 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 16 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ძალოსნობა**

# ნაკრები ჩემპიონატის შედეგებით დაკომპლექტდება



**დუშეთის კულტურის სახლში ძალოსანთა საქართველოს ჩემპიონატში 60-მა ათლეტმა იასპარეზა. დაძაბული პაექრობების შემდეგ რვა წონაში გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზიორები.**

**კვარცხლბეკი**

**56 კგ**. 1) ზაზა ფუტკარაძე (აჭარა) – 200 კგ (ატაცი 90 კგ, აკვრა 110 კგ), 2) ზვიად ფუტკარაძე (აჭარა) – 190 კგ (85+105), 3) ხვიჩა ჯინჭარაძე (აჭარა) – 163 კგ (71+92).

**62 კგ.** 1) რამინ შამილაშვილი (აჭარა) – 266 კგ (121+145), 2) გოდერძი ბერდელიძე (საჩხერე) – 234 კგ (109+125), 3) ბექა ბერუაშვილი (თბილისი) 199 კგ (89+110).

**69 კგ**. 1) თორნიკე თოდაძე (საჩხერე) – 283 კგ (130+153), 2) ვაჟა ქავთარაძე (აჭარა) – 263 კგ (116+147), 3) გოგა ჩხეიძე (ზუგდიდი) – 262 კგ (117+145).

**77 კგ.** 1. გიორგი ლომთაძე (ქუთაისი)-330 (152+178), 2. ირაკლი გაბრიჭიძე (საჩხერე) – 312 (145+167), 3. რევაზ დავითაძე (თბილისი) – 273 (128+145).

**85 კგ**. 1. დავით ხარატიშვილი (აფხაზეთი) – 321 (141+180), 2. ზურიკო თავაძე (ქუთაისი) – 292 (135+157), 3. ირაკლი ჯალაღონია (ზუგდიდი) – 259 (114+145).

**94 კგ**. 1. ნიკა ნანაძე – 337 (152+185), 2. ნიკა წიკლაური (ორივე – თბილისი) – 336 (153+183), 3. ლონგინოზ ბრეგვაძე (საჩხერე) – 328 (148+180).

**105 კგ.** 1. გიორგი მაჭავარიანი (აჭარა)-363 (170+193), 2. გიორგი ჩხეიძე (ზუგდიდი) – 343 (155+188), 3. დავით ხეცურიანი (ქუთაისი) –338 (150+188).

**+105 კგ.** 1. ირაკლი თურმანიძე – 408 (183+225), 2. ალბერტ კუზილოვი – 380 (170+210), 3. ბაქარ თურმანიძე (სამივე – აჭარა) – 287 (130+157).

**სინკლერის ცხრილით**. 1. ირაკლი თურმანიძე (414), 2. გიორგი ლომთაძე (406), 3. ალბერტ კუზილოვი (396 ქულა).

**გუნდური.** 1. აჭარა (205, მწვრთნელი-**აბესალომ ბასილია)**, 2. საჩხერე (173, **გიორგი გაბრიჭიძე)**, 3. თბილისი (172, **თემურ ჯანჯღავა)**.

გამარჯვებულები და პრიზიორები საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, სპორტის მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ, სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი დოლაბერიძემ და სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა კახი კახიაშვილმა დააჯილდოვეს.

**ლაშა დიდია**

**ძიუდო**

# „დიდ პრიზზე“ - საკუთარი სახსრებით



**ზაგრებში ძიუდოისტთა „დიდ პრიზზე“ ქართველთაგან მხოლოდ ალექსანდრე მსხალაძემ იასპარეზა, რომელიც შეჯიბრებაზე საკუთარი სახსრებით გაემგზავრა.** პირველ წრეში მან ბრაზილიელ რაფაელ ბუზაკარინს აჯობა და შარშან დიუსელდორფში მარცხისთვის რევანში აიღო. არადა, მსხალაძე ახლაც აგებდა ვაზარ-იუკოს, მაგრამ შეხვედრის ბოლო წამებზე ოკეანისგაღმელი აკრძალული ილეთის გამოყენებისთვის მოხსნეს. მერე ჩვენებურმა სერბ სტეფან იურიშიჩს 33 წამში სძლია, ნახევარფინალში აფრიკის ალჟირელ ჩემპიონ ლიეს ბოიაკუბს გაფრთხილებებით მოუგო, მაგრამ გადამწყვეტ პაექრობაში რუსეთელ ადლან ბისულთანოვს დანებდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

**გივი გაგუა**

**ტყვიის სროლა**

# კილაძე მეოთხე იყო

**ესპანურ გრანადაში გრძელდება ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ოლიმპიური თამაშების სამივე სინჯის მედლის მფლობელმა ნინო სალუქვაძემ ვერც სპორტული და ვერც პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში რიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზია ვერ მოიპოვა. სამაგიეროდ, გაგვახარა 14 წლის ქუთაისელმა ლიზი კილაძემ. ის ახალგაზრდებში გამოდიოდა.** პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში იგი საკვალიფიკაციო ეტაპზე 384 ქულით მეორე იყო. სამწუხაროდ, ფინალში საპრიზო ადგილი ვერ შეინარჩუნა და პირად პირველობაში საბოლოოდ მეოთხეზე გავიდა. სასიამოვნოა, რომ ლიზი წლიდან წლამდე აუმჯობესებს შედეგებს: შარშან სეზონი 377-ქულიანი პირადი რეკორდით დაასრულა, წლეულს ევროპის პირველობაზე 381 მოაგროვა, ახლა კი საკუთარი მაჩვენებელი 3 ქულით გაზარდა და უფროსებს მიუახლოვდა. ამჟამინდელი შედეგებით მას გაისად რიოს თამაშების ლიცენზიისთვის ბრძოლაც შეეძლება, თუკი ასაკი ხელს არ შეუშლის. ესპანეთში იგი 4-6 წლით უფროსებს ეჯიბრებოდა. კილაძემ პირველსა და მეოთხე სერიაში 96-96 ქულას მოუყარა თავი, შუალედში – 97-სა და 95-ს. საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენებურს ორი ქულით (386) 20-წლიანებში ბერძენმა ევროპის ჩემპიონმა, 18 წლის ანა კორაკაკიმ გაუსწრო. მესამე იყო ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს პრიზიორი რუსი ვიტალინა ბაცარაშკინა (383). ფინალში ყველაზე უკეთ 20 წლის ჩინელმა იუემეი ლინმა ისროლა და ოქროც მას ერგო. ვერცხლი ბაცარაშკინას, ბრინჯაო კორაკაკის ხვდა. უფროსებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ჯეეჰაე ჯუნი (კორეა), 2. მსოფლიოს და ოლიმპიადის ჩემპიონი ოლენა კოსტევიჩი (უკრაინა), 3. ჩია იინ ვუ (ტაივანი).



გრანადაში მსოფლიოს ჩემპიონობისთვის უკვე მესტენდურეები ჩაებნენ. ქართველთაგან ქალებში ნატალია პანასი იასპარეზებს, ვაჟებში დავით ქვათაძე, გივი შენგელია და მამუკა ზარაფიშვილი, ხოლო ახალგაზრდებში თენგიზ იმნაიშვილი, ირაკლი ლომიძე და ვლადიმერ ნარჩემაშვილი მოსინჯავენ ძალებს.

**ლექსო ცინცაძე**

**ჭიდაობა**

# 14 წონიდან – ერთი ვერცხლით

**უზბეკეთის დედაქალაქში დამთავრდა მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ქართველებმა 14 წონითი კატეგორიიდან მხოლოდ ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს.** ის ერთადერთი ჯილდო ჩვენს დელეგაციას გორელმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა მოუტანა თავისუფალ ჭიდაობაში. რაც შეეხებათ ბერძნულ-რომაული სტილით მოასპარეზეებს, ისინი საერთოდ ვერ მიუახლოვდნენ კვარცხლბეკს. ბრინჯაოს მოპოვების შანსი მხოლოდ ზურაბ დათუნაშვილს (75 კგ) ჰქონდა, მაგრამ მე-3 ადგილისთვის გადამწყვეტი პაექრობა მან აზერბაიჯანელ ელვინ მურსალიევთან დათმო და მე-5 ადგილზე გავიდა. **დანარჩენ წონებში ჩვენებურთა შედეგები ასეთია:** 15. გოდერძი დავითაძე (59 კგ), 7. რევაზ ლაშხი (66), 22. მინდია წულუკიძე (71), 22. გიორგი ცირეკიძე (80), 10. ვლადიმერ გეგეშიძე (85), 21. ვასილ იმერლიშვილი (98), 10. იაკობ ქაჯაია (130).




**ვაჟა ნოსირელი**

**ხომ არ გეცნობათ?**

# ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის საქმეს ფიფა სწავლობს

**მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია ფიფა Sunday Times-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაზე მოკვლევის დაწყებას აპირებს.**

გამოცემის ცნობით, 2014 წლის ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას ამ ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციის სახელით იოზეფ ბლატერმა და აღმასრულებელი კომიტეტის 26-მა წევრმა საჩუქრად 25 ათასი დოლარის ღირებულების საათები მიიღეს.

„ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის 100-წლიან იუბილესთან დაკავშირებით ამ ორგანიზაციამ სხვადასხვა პირებს, მათ შორის აღმასკომის წევრებს საკუთარი სპონსორის სახელით საათები უსახსოვრა. ეთიკის კომიტეტი ინფორმირებულია და ამ საკითხს შეისწავლის“ – წერია ფიფას ოფიციალურ განცხადებაში.

ფიფას ეთიკის კოდექსის თანახმად, ორგანიზაციის ფუნქციონერებს ძვირადღირებული არასიმბოლური საჩუქრების მიღება ეკრძალებათ.

**გიორგი შოთაძე**

**კალათბურთი**

# ამერიკელებმა ფინალიც შოუდ აქციეს

**აშშ-ს საკალათბურთო ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში მორიგი სპექტაკლი დადგა და სერბეთი 129:92 გაანადგურა. ვინაიდან ამერიკელებმა თამაშს ინტერესი მალევე დაუკარგეს, დასკვნითი მეოთხედი „ოლ სტარზს“ დაემსგავსა და არაერთი ლამაზი ეპიზოდიც ვიხილეთ, დაცვას კი გუნდები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ.**



ის, რომ მაიკ კრჟიჟევსკის გუნდი ესპანეთში დასრულებული მუნდიალის გამარჯვებული გახდებოდა, უმრავლესობისთვის ტურნირის დაწყებამდე ნათელი გახლდათ. პრეტენზიას მხოლოდ მასპინძლები აცხადებდნენ, თუმცა, საბოლოოდ, ისე მოხდა, ესპანელები მეოთხედფინალსაც ვერ გასცდნენ, აშშ-მა კი ყველა მეტოქეს გადაუარა.

უშუალოდ ფინალზე სასაუბროც ბევრი არაფერია. საწყის წუთებში სერბები 15:7 დაწინაურდნენ და იქნებ გულში რაღაც ილუზიები გაუკრთათ კიდეც, თუმცა, ამერიკელებმა პირველივე მეოთხედში ყველაფერი თავის ადგილას დააყენეს და შემდეგ საკუთარი სიამოვნებისთვის თამაშობდნენ.

ამ გამარჯვების წყალობით აშშ-ს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა, სულ კი ჯილდო მეხუთედ მოიგო და აწ უკვე აღარარსებულ იუგოსლავიას გაუტოლდა. ამას გარდა, ამერიკელთა აქტივში 3 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალიცაა.

გასული მუნდიალის უძვირფასესი მოთამაშის (MVP) ტიტულის მფლობელი კაირი ირვინგი გახდა, რომელმაც ფინალში თამაშიდან 13-დან 10 ტყორცნა (6-დან 6 სამქულიანი) გამოიყენა და 24 წუთში 26 ქულა მიითვალა. ცხადია, იგი ჩემპიონატის სიმბოლურ ხუთეულშიც მოხვდა, რომელშიც ასევე შევიდნენ მილოშ ტეოდოსიჩი (სერბეთი), ნიკოლა ბატუმი (საფრანგეთი), პაუ გასოლი (ესპანეთი) და კენეტ ფარიდი (აშშ).

**მატჩი III ადგილისთვის.** საფრანგეთი – ლიტვა 95:93.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ინტერნეტიდან**

# რიკელმეს ოღრაშობანი გრძელდება

**მიუხედავად იმისა, რომ წლებმა მოქანცა და თამაშიც ჭაღარა შეერია, არგენტინელი ვეტერანი ფეხბურთელი ხუან რომან რიკელმე ოღრაშობასა და ქალებში წანწალს მაინც არ იშლის და ცნობილ და ერთმანეთზე უკეთეს ლამაზმანებს ეკურკურება და ეფანცქვალება.**

ხუან რომანის ახალი სატრფო არგენტინაში ცნობილი მოდელი და მსახიობი აიელენ პალეოაა, რომელიც, რიკელმესი არ იყოს, რამდენჯერმე ყოფილა ქორწინებაში და ყველა მისი ეს ურთიერთობა მეორე ნახევართან განშორებითა და დიდი სკანდალებით დასრულდა.



ჯერჯერობით არც რიკელმე და არც აელენი მედიასთან საუბარში არ აღიარებენ ამ ტრფობას, თუმცა ნაცნობობასაც ვერ უარყოფენ, რადგან ბოლო დროს ერთად არაერთხელ დაინახეს. რიკელმე ბულვარული მედიის წარმომადგენლებს საერთოდ ემალება, რადგან მათგან ბევრი მისთვის არასასურველი „ამოქექილი“ ამბავი ახსოვს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

⊙ უქმე დღეების ჩანაწერები

# პრემიერა იყო.. პრემიერა იქნება!..

## რუსთაველის თეატრში...

**რაღაც-რაღაცებზე განაწყენებული რობიკო სტურუა, რა თქმა უნდა, ადრე და მალე, თავის მშობლიურ თეატრს უნდა დაბრუნებოდა. ჰოდა, დაუბრუნდა კიდეც, თანაც, პრემიერით დაუბრუნდა...**

დიახ, დღეს, 16 სექტემბერს რუსთაველის თეატრი თავის 136-ე სეზონს გახსნის სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლით **„ასულნი“,** რომელიც დიდი ქართველი დრამატურგის პოლიკარპე კაკაბაძის პიესის „სამი ასულის“ ვარიაციაა.

**— „სამი ასული“, თუ არ ვცდები, ადრეც დადგმულა ქართულ სცენაზე... ხომ არ ვცდები ქალბატონო მანანა?..**

— არ ცდებით... გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში იგი მარჯანიშვილის თეატრში დადგა მედეა კუჭუხიძემ... სხვათა შორის, სპექტაკლში ერთ-ერთ მთავარ როლს უმშვენიერესი მედეა ჯაფარიძე თამაშობდა...



**...აი, მიზეზი პრემიერის წინ:** მე ვთხოვე პოლიკარპე კაკაბაძის ქალიშვილს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ქალბატონ **მანანა კაკაბაძეს,** გაეხსენებინა ზოგი რამ თავისი სახელოვანი მამის ცხოვრებიდან, შემოქმედებიდან... იგი სიამოვნებით დამთანხმდა და შესანიშნავი მოსაუბრეც გამოდგა.

**— როგორ სპექტაკლს ელოდებით ქალბატონო მანანა?**

— რობიკო რობიკოა... რა თქმა უნდა, სპექტაკლი, ჩვეულებრივი არ იქნება... ერთგან ამბობს, რთული სპექტაკლი გამოგვდისო... ხომ გახსოვთ, მისი „ყვარყვარე“ რა იყო?..

**— ბედნიერება მქონდა, მენახა... მალევე მოხსნეს... გენიალური იყო რამაზ ჩხიკვაძე... აქეთ ყვარყვარე — სტალინი, იქით ყვარყვარე — ჰიტლერი... საწყენია, რომ ბევრს არ უნახავს ეს დადგმა, ვიდეოჩანაწერი, მგონი, არც არსებობს... ქალბატონო მანანა, საინტერესოა, რა აზრისა იყო ბატონი პოლიკარპე თავისი ნაწარმოებების დამდგმელ რეჟისორებზე?**

— რა გასაკვირია, ქება-დიდებას არ აკლებდა „ყვარყვარე თუთაბერის“ პირველ დამდგმელს კოტე მარჯანიშვილს... გიგა ლორთქიფანიძე როგორ უყვარდა, მე თვითონ არაერთხელ მიგრძნია. ბატონმა გიგამ ხომ ბრწყინვალედ დადგა პოლიკარპეს დიდად „ნატანჯი“ პატრიოტული პიესა „კახაბერის ხმალი“, რომელსაც თავიდან „ბახტრიონი“ ერქვა. ძალიან ებრძოდნენ, ყოველთვის ვილაცები უშლიდნენ ხელს მის დადგმას, როგორც იქნა, 1954 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა ეს პიესა შეცვლილი სათაურით „ დავით VIII“. დაიბოლმა ქვეყანა, რა აღარ მოუგონეს მამაჩემს — ნაციონალისტიო, ესაო, ისაო, ბობოქრობდნენ „სოციალისტები“... დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა მაშინ ბატონმა დიმიტრი ბენაშვილმა — ბევრი უსიამოვნება შეხვდა, მაგრამ მაინც დაიცვა პოლიკარპე კაკაბაძე... 1965 წელს კი, ბოლოს და ბოლოს, გიგა ლორთქიფანიძემ მარჯანიშვილის თეატრში დადგა „კახაბერის ხმლის“ სახელწოდებით. ეს იყო ქართული მწერლობის, თეატრისა და სარეჟისორო სკოლის ჭეშმარიტი გამარჯვება.

**— გასაკვირია, „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორი, როგორ გადარჩა 37-ში...**

— იყო ჩასაფრებები, დასმენები, მაგრამ მამა, შეიძლება ითქვას, სულიერმა სისუფთავემ გადაარჩინა. იგი არ გამოდიოდა კრებებზე, არავის „დამუშავებაში“ არ მონაწილეობდა... სამხილი რომ ვერაფერი იპოვეს, ლიტფონდის



ვალები აქვს და არ აბრუნებსო, დააბრალეს... სულ ცნობები დაუწყო წინ ზოგიერთებს და რაღას ეტყოდნენ.

**— მაგრამ, „ყვარყვარე თუთაბერი“?**

— ყვარყვარე ზოგადსაკაცობრიო სახედ იქცა და მის ავტორს ასევე ვაგლახად, ეტყობა, ვერას ავნებდნენ. ამ სპექტაკლს ხომ არნახული წარმატება ჰქონდა ჯერ ბათუმში 1929 წლის 31 იანვრს, შემდეგ ქუთაისში — 27 მარტს, თბილისში, ოპერის თეატრის სცენაზე — 21 აპრილს... ოვაციებში იძირებოდა მძლავრთა მრისხანება. ისინი, ბობოლა კომუნისტები, ესწრებოდნენ სპექტაკლებს და ხელოვნების უცნაური, საიდუმლო ძალით მონუსხულები თვითონვე უკრავდნენ ტაშს, ხარხარებდნენ და შემდეგ ერთმანეთს „ყვარყვარეს“ ეძახდნენ... ცნობილია, რომ „ყვარყვარე თუთაბერი“ ბერიას საყვარელი სპექტაკლი იყო. იგი ყველა წარმოდგენას ესწრებოდა, იჯდა თავის ლოჟაში და გულიანად ხარხარებდა, მოწინააღმდეგეებს კი ყვარყვარეებს ეძახდა. ისე, დასახვრეტთა სიაში ყოველთვის იყო პოლიკარპე კაკაბაძე, მაგრამ, რომ იტყვიან, სასწაულად გადარჩა. სხვებსაც კი (პეტრე სამსონაძეს, ლევან გოთუას, ნიკო ბულეიშვილს) ვერაფერი ათქმევინეს მამაჩემის წინააღმდეგ. ერთიცაა... მამაჩემი რომ დაეხვრიტათ, ეს, ალბათ, უნდა გადაეწყვიტა სტალინს, ის კი ჭკვიანი იყო: ვთქვათ, ავტორი გაენადგურებინათ, ყვარყვარეს როგორღა მოკლავდნენ?.. მე რომ მკითხოთ, პოლიკარპე ყვარყვარემ გადაარჩინა...

**— როგორი იყო იგი ოჯახში, როგორ უყურებდა თქვენს სამეცნიერო მოღვაწეობას?..**

— მოსიყვარულე იყო... ოთხ შვილს, მართალია, მკაცრად გვზრდიდა, თუმცა, ყოველწუთს ვგრძნობდით მისი გულის სითბოს... ხელმოკლედ ვცხოვრობდით, მაგრამ სტუმარი არ გვაკლდა... ოჯახში, მაინც დედაჩემი იყო ყველაფრის თავი და თავი... რაც შეეხება ჩემს სამეცნიერო მოღვაწეობას, ვატყობდი, როგორ უხაროდა, თუ სხვები, მაგალითად, ჩვენი სახელოვანი მეცნიერები, ხანდახან ნაშრომს შემიქებდნენ ხოლმე... თავად მას კი შექებას ვერ დააცდენინებდი...

**— თქვენ პოლიკარპე კაკაბაძის ღირსეული შვილი ბრძანდებით, ქალბატონო მანანა... დიდი მადლობა საუბრისთვის... ვისურვოთ, რომ ამ საღამოს რუსთაველის თეატრის სცენაზე ჩვენმა დიდმა რეჟისორმა კვლავაც ღირსეულად წარმოადგინოს ჩვენი დიდი დრამატურგის ნაწარმოები!..**

## მსახიობის სახლში...



**ზუსტად 40 წლის წინათ, ახალგაზრდა, ნიჭიერმა, სიახლეების მაძიებელმა რეჟისორმა სანდრო მრევლიშვილმა მტკვრის პირას წამომართული მეტეხის ტაძარი „გადააკეთა“ თეატრად, დაარქვა „მეტეხის თეატრი“ და მის მცირე სცენაზე ერთი-მეორეზე უკეთესი სპექტაკლები უჩვენა მცირე დარბაზში შეკრებილ მაყურებელს, რომლებიც, მეტწილად, ახალგაზრდები იყვნენ.**

დიახ, შეიძლება ითქვას, რომ 40 წლის წინათ, კომუნისტურ ეპოქაში, სწორედ სანდრო მრევლიშვილმა დაიწყო ის „სარდაფობანა“, რაც დღეს უკვე აღარავის უკვირს არც თბილისში და არც პერიფერიებში.

...სანდრო მრევლიშვილს რა მოასვენებდა და უკვე „თავისუფლების“ ეპოქაში, შეიძლება ითქვას, საკუთარი ხელით ააშენა ალექსანდრეს ბაღის ქვედა მხარეს თეატრი „გლობუსი“, კოხტა ხის შენობა... აქაც მცირე სცენა... აქაც მცირე დარბაზი... ოღონდ, ვინც კი იყო შეკრებილი ამ დარბაზში, ერთთავად შესანიშნავი სპექტაკლის მაყურებელი ხდებოდა...

ერთ დღესაც სააკაშვილის „კამანდამ“ სანდრო მრევლიშვილს შენობა ჩამოართვა, ვილაცებს აჩუქა, ნიჭიერი ხელოვანი კი, როგორც იტყვიან, გზა-შარაზე დატოვა. სანდრო მრევლიშვილს საქმეს ვინ მოაკლებდა, იგი, უკვე, კარგა ხანია, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეა, მაგრამ თავის „მთავარ საქმეს“ ვერა და ვერ აკეთებდა...

**ჰოდა, აი, გასულ შაბათ საღამოს თბილისის მუნიციპალურ თეატრ „გლობუსს“, ანუ „სანდრო მრევლიშვილის თეატრს“ პრემიერა ჰქონდა მსახიობის სახლის სცენაზე.**

— ეს პრემიერა შეიძლება მე-40 სეზონის გახსნად ჩაითვალოს, რადგან ათვლას ვიწყებთ „მეტეხის თეატრიდან“, — მეუბნება სანდრო, — ჯერჯერობით აქ, მსახიობის სახლში გვექნება წარმოდგენები, მერე კი ვნახოთ, მადლობა ღმერთს, თბილისის მერია რაღაცებს გვპირდება, — იმედიანადაა სანდრო მრევლიშვილი.

იმ საღამოს ერთმოქმედებიანი პიესა წარმოადგინა თეატრმა — ფრანც კაფკას მოთხრობა „სადამსჯელო კოლონიაში“, რომლის თარგმანი მაია ლიპარტელიანს ეკუთვნის, ხოლო პიესად გადაუკეთებია და დაუდგამს კიდეც სანდრო მრევლიშვილს, მუსიკის ავტორია კობა კრიჭაშვილი... მსახიობების შესანიშნავმა ანსამბლმა ისეთი საინტერესო სანახაობა წარმოადგინა, რომ დარბაზში შეკრებილი მაყურებელი (ამჯერად, მოწვეული) დიდხანს უკრავდა ტაშს მათ ხელოვნებას.

მაშ, კვლავაც წარმატებები ვუსურვოთ „მკვდრეთით აღმდგარ“ თეატრ „გლობუსს“ სანდრო მრევლიშვილის თავკაცობით.

**ვილენ მარდალეიშვილი**

⊙ ინფორმაცია

## თბილი მოგონებები საქართველოზე




**ისრაელში ერთ-ერთმა პრესტიჟულმა გამომცემლობამ, საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის მხარდაჭერით, გამოსცა ებრაელი სტუდენტის კორალ კრატენშტეინის წიგნი „21 დღე საქართველოში“.**

**წიგნი ტურისტის თვალით დანახულ საქართველოზე მოგვითხრობს. მისმა ავტორმა ფეხით მოიარა მასპინძელი ქვეყანა, გაეცნო ხალხს, მის ყოფას და გულმოდგინედ აღწერა ის.**

**ისრაელელი ტურისტის ეს ჩანაწერები გზამკვლევია ნებისმიერი უცხოელისთვის, ვინც კი ოდესმე დააპირებს საქართველოს დათვალიერებას.**

**„21 დღე საქართველოში“ საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტის იციკ მოშეს მხარდაჭერით გამოიცა.**

**საქართველოში, წიგნის „21 დღე საქართველოში“ პრეზენტაცია 20 ოქტომბერს, ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი მეგობრობის საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში, ისრაელის სახლში გაიმართება.**

გახსენება

## ზაურ ევგენის ძე ლაბარტყავა



დღეს 40 დღე გავიდა, რაც შენ ფიზიკურად ჩვენგან წახვედი. დაგვიტოვე დიდი სევდა და მწუხარება. შენ იყავი უბედნიერესი კაცი, სათნოებისა და ვაჟკაცობის განსახიერება. ამიტომაც შენი სახელი უკვდავია. შენი გმირული საქმეებით ბევრჯერ დაბადებულს, ერთხელ სიკვდილი ვერას დაგაკლებს. შენი ლამაზი სიცოცხლე გრძელდება, შენს ძვირფას ოჯახთან ერთად. იძინე მშვიდად, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ქართული მიწა, რომელიც თავზე მეტად გიყვარდა. ნუგეშად მხოლოდ ის გვრჩება, რომ შენი ნათელი და სპეტაკი სული მარადიულ სასუფეველში ჰპოვებს სავანეს.

**შენი ოჯახი**

**საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს კომიტეტის წევრს კახაბერ ოქრიაშვილს ბებიის**

**ელენე ციხელაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**მამუკა ვაშაკიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ჯონი როგავასა და დეზი დგებუაძეს დედისა და დედამთილის, ქალბატონი**

**პისტი (ნაზია) გვილია-როგავას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ლალი გუჯაბიძე, სალომე, გია, კოტე, ნუგზარ ქავთარაძეები მწუხარებით იუწყებიან**

**მედეა მელაძის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

**კლინიკური კარდიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი, კარდიოლოგი და მეცნიერ-თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი**

**სიუზი მდივანი**

**და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

# გვახსოვხარ, არ დაგივიწყებთ!



1936 წლის 1 აპრილს გადაღებულ ამ სურათზე გამოსახულია ვასილ ვატას ძე გაბეჩავას და ნინუცა ბიჭიას ასული გაგუას მონაგარი — და-ძმანი შალვა, ბაგრატ (ზის), ჟორა (გიორგი) და შურა გაბეჩავები.

სურათი მოგვაწოდა ომარ გიორგის ძე გაბეჩავამ.

# კოსმეტიკა ციფრებსა და ფაქტებში

**კოსმეტიკა — ესაა მოძღვრება გარეგნობის გაუმჯობესების საშუალებებისა და მეთოდების შესახებ. კოსმეტიკას ასევე უწოდებენ კანის, თმებისა და ფრჩხილების მოვლის საშუალებებს და ხერხს.**

1967 წელს პარიზში საერთშაორისო გამოფენაზე, სადაც პარფიუმერიამ და საპონსახდელმა მრეწველობამ წარმოადგინეს თავისი პროდუქცია ცალკე, ფარმაცევტული მრეწველობისაგან გამოყოფით, პირველად გამოიყენეს ეს სიტყვა „კოსმეტიკა“.

**ძველმა ეგვიპტელებმა პირველად შემოიღეს სახეზე მაკიაჟის წასმის პრაქტიკა, შემდეგ ეს ხელოვნება გადაიღეს ძველ საბერძნეთსა და რომში.**

მიაჩნდათ, რომ ლაქი ფრჩხილებისათვის გამოიგონეს ჩინეთში 30 საუკუნის წინათ. იმას ფრჩხილებზე ისვამდნენ, ზოგჯერ 25 სანტიმეტრის სიგრძისასაც კი, მაღალი ფენის ქალები და მამაკაცები. მაშინ ლაქი შეიცავდა ფერად ფხვნილს, კვერცხის ცილას, სხვადასხვა ფისეულს და ფუტკრის ცვილს.



IV საუკუნისთვის ჩვენს ერამდე ბერძნები იშორებდნენ ბალანს სხეულიდან, ისწორებდნენ წარბებს, სახეზე ისვამდნენ თეთრი ფერის ტონალურ კრემებს, ილებავდნენ ტუჩებს, იწმენდნენ კბილებს და ილებავდნენ თმებს ოქროსფრად.

**შუა საუკუნეებში გერმანიის მაინის ფრანკფურტის სენატმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც ქორწინება ქალთან, რომელიც კოსმეტიკის მეშვეობით იმალავდა თავის გარეგნობის დეფექტებს, შეიძლებოდა გაუქმებულიყო, მომხდარიყო განქორწინება.**

90 მილიონ გირვანქა პუდრს ხარჯავდნენ წელიწადში XVIII საუკუნის ბოლოსათვის პრუსიის 9 მილიონი მცხოვრებელი, ძირითადად პარიკებზე.

ელიზაბეტას პერიოდის ინგლისში კოსმეტიკა ითვლებოდა მავნედ ჯანმრთელობისათვის! იყო აზრი, რომ იგი არ აძლევს საშუალებას სინესტეს აორთქლდეს ბუნებრივი გზით.

**1843 წელს ალფონს რალეს ფაბრიკამ დაიწყო რუსეთში, რომლის იმპერიაში საქართველოც შედიოდა, კოსმეტიკის სამრეწველო გამოფენა. მასში აწარმოებდნენ პუდრს, საპონს, ტუჩების პომადას და სუნამოს. ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ ფაბრიკამ მიიღო სახელწოდება „სვობოდა“, რომელსაც ბევრი ჩვენი მკითხველი კარგად იცნობდა.**

1937 წელს სსრ კავშირში გაიხსნა კოსმეტიკისა და ჰიგიენის ინსტიტუტი, რომელიც 1966 წელს გახდა მოსკოვში კოსმეტოლოგიის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტი.

თითქმის ყველა ქალი თუნდაც ერთხელ ცხოვრებაში ღებულობდა ტრავმას მაკიაჟის დადების დროს. ყველაზე გავრცელებული — ესაა თვალის ნაკაწრი ტუშის პატარა ფუნჯისაგან.

**კოსმეტიკაში მავნე ნივთიერებანი გვხვდება უფრო ხშირად, ვიდრე ჩვენ ამას ვისურვებდით. მაგალითად, ჯანმრთელობისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენენ 1,4 დიოქსანი და ნიტროზამინები.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84.

## ინფორმაცია

# აბაშიძის ქუჩაზე მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გაიხსნა

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ აბაშიძის ქუჩაზე მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა. უწყების ინფორმაციით, დაკავებულია 4 პირი.**

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს და თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ყვარლის რაიონში, ლენტეხსა და თბილისში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში,



აბაშიძის ქუჩაზე მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე 4 პირი: 1974 წელს დაბადებული მინდია გ, 1975 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობის და ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი ბაქარ მ, 1967 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობის და ნარკოდანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი მამუკა გ. და 1970 წელს დაბადებული ვიტალი ჩ. დააკავეს“, — აცხადებენ სამინისტროში.

მათივე განმარტებით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 3 აგვისტოს ვიტალი ჩ, რომელიც დაზარალებული ოჯახის ნათესავია და მათთან მძღოლად მუშაობდა, დაუკავშირდა თავის მეგობარ მინდია გ-ს და შესთავაზა ჩარქსელიანების ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა განეხორციელებინათ.

„მან აცნობა მინდია გ-ს, რომ დაზარალებულები სახლში ინახავდნენ დიდი ოდენობით ფულსა და ძვირფასეულობას. ასევე გაურიგდა, რომ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხის ნაწილი მისთვის მიეცათ. მინდია გ-მ დაგეგმა და თანამზრახველებთან ერთად განახორციელა ყაჩაღური თავდასხმა. ისინი 25 აგვისტოს, აბაშიძის ქუჩაზე, ჩარქსელიანების ოჯახს თავს დაესხნენ ყაჩაღურად. დიასახლისსა და სტუმრად მყოფ ქალბატონს ხელ-ფეხი შეუკრეს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით სახლიდან გაიტაცეს დიდი ოდენობით ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები, 100 000 ლარი, 30 000 ევრო, 30 000 აშშ დოლარი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ოთხივე ბრალდებული დააკავეს. დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას ნაყაჩაღარი ძვირფასეულობა და თანხის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებულების პირადი ჩხრეკისას ასევე ამოღებულია ბუპრენორფინის შემცველი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება“, — განმარტავენ შსს-ში.

## ცინცხალი ანეკდოტები

**— მიხო, — ეუბნება ძმაკაცს ნიკა, — ოდესმე გინახავს სიცრუის დეტექტორი?**

**— რა თქმა უნდა. უკვე ხუთი წელიწადია, მასთან ერთად ვცხოვრობ.**

* * *

**— დაშა, გუშინ დაგინახე, როგორ ესიყვარულებოდი მანქანაში ახალგაზრდა ვაჟს. ვინ არის იგი? — მკაცრი ტონით ეუბნება თავის ქალიშვილს მამა.**

**— რა ფერის მანქანა იყო?**

* * *



**— ალო, ეს პოლიციაა? საიუველირო მაღაზიის მეპატრონე გაწუხებთ! ჩემი გაძარცვა უნდათ.**

**— აჰა, ისევ რაბინოვიჩი ხართ? ვერ დაგეხმარებით. კანონით, თუ კლიენტი 2-5-პროცენტიან ფასდაკლებას გთხოვთ, ეს ძარცვად არ ითვლება.**

* * *

**— ჩემს ცოლს ბრილიანტის ბეჭედი ვუყიდე და უკვე ორი კვირაა, არ მელაპარაკება.**

**— რატომ?**

**— ასეთი იყო პირობა...**

* * *

**შედის პინგვინი ბარში, შეუკვეთავს ვისკის, დალევს, გადაიხდის და გასვლას აპირებს.**

**— იცით, თქვენ პირველი პინგვინი ხართ ჩვენს ბარში, — ეუბნება მას ბარმენი.**

**— და უკანასკნელიც, თუ თქვენი ფასებით ვიმსჯელებთ, — უპასუხებს პინგვინი.**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24